კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი სიყვარულისა და ერთგულების დემონსტრაცია

მშრომელთა მრავალათასიანი მიტინგი თბილისში

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი. № 110 (12024) | კვირა, 14 მაისი, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

ზეიმით, სიხარულით აღნიშნავს ქართველი ხალხი, მომძმე რესპუბლიკების წარმომადგენლებთან, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთან ერთად, თავის სახელოვან ეროვნულ დღესასწაულს — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავს.

თბილისი ზეიმობს! ყველგან მოჩანს გაღიმებული სახეები, გაისმის ხალისიანი სიმღერები, უკრავს მუსიკა. კარგია ცხოვრობდე და მუშაობდე, მოღვაწეობდე, სწავლობდე, ისვენებდე საბჭოების ქვეყანაში, სადაც ადამიანის კეთილდღეობისათვის ზრუნავს მშობლიური კომუნისტური პარტია.

გუშინ საღამოს ათასობით ადამიანი დაიძრა „ქარიშხალას“ სტადიონისაკენ ვაკეში.

უზარმაზარი სტადიონი ხალხით არის გაჭედილი. ჭარბობს წითელი ფერი, საბრძოლო დროშების ფერი, რომლებიც ქართველმა ხალხმა რევოლუციების ქარიშხალში გამოატარა. 40 წლის წინათ მან უფროსი ძმის, დიდი რუსი ხალხის დახმარებით დაამხვრია ეროვნული და სოციალური ჩაგვრის ბორკილი, ააშენა ახალი, ბედნიერი ცხოვრება.

იმართება ოვაცია, გაისმის მრავალხმოვანი „ვაშა“, „ურა“, ძისაღმების შეძახილები ძვირფასი სტუმრის ამხანაგ **ნ. ს. ხრუშჩოვის** პატივსაცემად და ამას ეხმაურება მთელი სტადიონი, როცა ტრიბუნაზე ადიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი **ნ. ს. ხრუშჩოვი**, რომელსაც ახლავან **ვ. პ. მუავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, გ. ს. ძოწენიძე, პ. ვ. კოვანოვი, გ. ი. ქადაგიძე, გ. ნ. ჯიბლაძე, ფ. დ. დუმბაძე, მ. ი. კუჭავა, კ. ნ. გალიცკი, ა. ნ. ინაური, მ. მ. ლელაშვილი, გ. ა. გეგეშიძე, ი. გ. რთველიაშვილი, გ. ი. ჩოგოვაძე, ე. ა. შევარდნაძე**, ამ დღეებში თბილისში სტუმრად მყოფი მოკავშირე რესპუბლიკების დელეგაციათა მეთაურები — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე **გ. ი. ვორონოვი**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, უკრაინის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ნ. ვ. პოდგორნი**, ბელორუსიის კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **პ. მ. მაშეროვი**, უზბეკეთის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **შ. რ. რაშიდოვი**, ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ი. შ. შარიპოვი**, აზერბაიჯანის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. ი. ახუნდოვი**, ლიტვის კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ი. ა. მანიუშისი**, მოლდავეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. ტ. აფტენიუკი**, ლატვიის კპ რიგის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. ა. აზანი**, ყირგიზეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ბ. ბეგმეტოვა**, ტაჯიკეთის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **დ. რ. რასულოვი**, სომხეთის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ი. ნ. ზარობიანი**, თურქმენეთის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ბ. ა. ოვეზოვი**, ესტონეთის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ი. გ. კებინი**, სკკპ დაღესტნის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ა. დ. დანიალოვი**, ჩაჩნეთ-ინგუშეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ი. ა. ალმაზოვი**, ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ა. ნ. ახოხოვი**, სკკპ ჩრდილოეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. მ. აგკაცევი** და სხვები.

მოკლე სიტყვას ამბობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **ვ. პ. მუავანაძე**. იგი ამბობს:

ძვირფასო ამხანაგებო, მეგობრებო!

ბევრჯერ დამდგარა გაზაფხული საქართველოში, მაგრამ დღევანდელი გაზაფხული სულ სხვანაირია. ეს წლის საუკეთესო დროა. ბუნების გაღვიძება და განახლება დაემთხვა ჩვენს დიდ ეროვნულ დღესასწაულს — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავს.

ბედნიერი და თავისუფალი ქართველი ხალხი, საქართველოს ყველა მშრომელნი ამ დიად დღესასწაულს აღნიშნავენ უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, როცა ისინი მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად დიდი ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით დაუცხრომლად იბრძვიან კომუნიზმის გამარჯვებისათვის, სკკპ XXII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის.

ჩვენი დღევანდელი დღესასწაული ღირსშესანიშნავია იმით, რომ ჩვენთან ერთად ამ დღესასწაულს იზიარებს ადამიანი, რომელმაც მთელი პროგრესული კაცობრიობის უსაზღვრო სიყვარული და მადლობა დაიმსახურა, მშვიდობისა და ხალხთა ბედნიერებისათვის დაუცხრომელი მებრძოლი, მგზნებარე ლენინელი, ქართველი ხალხის საუკეთესო მეგობარი ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი! **(მეტყველი, ხანგრძლივი ტაში)**.

მინდა თქვენი სახელით, მთელი ქართველი ხალხის სახელით მხურვალედ მივესალმო ჩვენს ძვირფას ნიკიტა სერგის-ძეს და ვუსურვო მას დიდხანს სიცოცხლე და დაუცხრომელი შემოქმედებითი მოღვაწეობა ჩვენი სამშობლოს, მთელი მსოფლიოს ხალხთა საკეთილდღეოდ. იცოცხლე და მრავალ წელს იდღეგრძელე ჩვენო ნიკიტა სერგის-ძევ! **(მეტყველი ტაში)**.

ბატონო ხრუშჩოვ! ეს ბრძოლა, ეს ბრძოლა, ეს ბრძოლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი სიყვარულისა და ერთგულების დემონსტრაცია

მშრომელთა მრავალათასიანი მიტინგი თბილისში

(დასასრული).

ქართველი ხალხი ღირსეულად და შემოქმედებითი შთაგონებით, იმ გადაწყვეტილებით, რომ აღმოფხვრას ნაკლოვანებანი, მტკიცე რწმენით მიდის ჩვენი ქვეყნის მოძმე ხალხებთან ერთად კომუნიზმის მოკაშკაშე მწვერვალებისაკენ.

მქუხარე ტაში გაისმის სტადიონზე, როცა გამარჯვებას უსურვებენ საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევ მეგობრობას, საბჭოთა საქართველოს, დიად კომუნისტურ პარტიას და მის ცენტრალურ კომიტეტს ნიკიტა სერგისძე ხრუშჩოვის მეთაურობით.

მიკროფონთან მიდის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი **ნ. ს. ხრუშჩოვი.** მიტინგის მრავალი ათასი მონაწილე მას ხვდება მქუხარე, ხანგრძლივი ოვაციით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელით იგი გულითადად ულოცავს რესპუბლიკის მშრომელებს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 40 წლისთავს.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა ილაპარაკა საბჭოთა ხალხის შესანიშნავ გამარჯვებებზე კომუნისტურ მშენებლობაში, საბჭოთა ხალხების ურღვევ მეგობრობასა და ძმობაზე. მან აღნიშნა საქართველოს მშრომელთა მიღწევები და მნიშვნელოვანი წვლილი ახალი, დედამიწაზე ყველაზე ნათელი საზოგადოების — კომუნიზმის აშენების საყოველთაო სახალხო საქმეში. ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მოუწოდა რესპუბლიკის ყველა მშრომელს გააძლიერონ თავიანთი ღონისძიებანი შვიდწლიანი გეგმის განხორციელებისათვის ბრძოლაში, ღირსეულად შეხვდნენ პარტიის XXII ყრილობას.

თავისი სიტყვის დასასრულს ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა გამარჯვება უსურვა ნიჭიერ ქართველ ხალხს, ჩვენი ქვეყნის მოძმე ხალხებს, კომუნისტურ პარტიას, რომელიც დიდმა ლენინმა შექმნა და რომელმაც საბჭოთა ხალხი მიიყვანა კომუნისტური მშენებლობის გამარჯვებამდე, რაც მთელი მსოფლიოს განცვიფრებას იწვევს, პარტიას, რომელსაც მიჰყავს საბჭოთა ადამიანები მარქსიზმ-ლენინიზმის უძლეველი დროშით წინ, კომუნიზმისაკენ.

დიდხანს ქუხს ოვაცია, რომელიც ერთსულოვნად მოედო მთელ სტადიონს.

შემდეგ მიტინგის მონაწილეებს მიმართა **ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ.**

ძვირფასო ამხანაგებო, მეგობრებო!

ახლა ჩვენ ყველამ დიდი უურადღებით მოვისმინეთ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის უაღრესად ღრმა და მკაფიო სიტყვა. მან მაღალი შეფასება მისცა იმ წვლილს, რომელიც საქართველოს მშრომელებს შეაქვს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საერთო-სახალხო და დიად საქმეში.

ჩვენი მოვალეობაა, საქართველოს პარტიული ორგანიზაციების, ყველა მშრომელის მოვალეობაა ვუპასუხოთ ამას ახალი მძლავრი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობით, რათა გადავჭრათ შვიდწლიანი გეგმის პასუხსაგები ამოცანები, კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის ამოცანები.

ჩვენი ზეიმი, რომელშიც მონაწილეობს ერთგული ლენინელი, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის დიდი მებრძოლი ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი, უეჭველად მძლავრ სტიმულს აძლევს ქართველი ხალხის, საქართველოს ყველა მშრომელის შემდგომ ბრძოლას, რათა განახორციელოს ბრძნული წინასწარდასახულებანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტისა ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის მეთაურობით. (**მქუხარე ტაში**).

დიდი ლენინის მიერ აღზრდილ ჩვენს პარტიას, ჩვენს ხალხს არ სჩვევია ეძლეოდეს თვითდამშვიდებას, განცხრომას. ჩვენს საუკუნეში, კოსმოსის დაპყრობის საუკუნეში უფლება არა გვაქვს დავჯერდეთ მიღწეულს, ჩვენ ყოველთვის უნდა ვიაროთ წინ, მუდამ ვეძიებდეთ და ვიმარჯვებდეთ.

ძვირფასო ამხანაგებო, მეგობრებო! ნება მიბოძეთ თქვენი სახელით, საქართველოს კომუნისტების, ყველა მშრომელის სახელით ერთხელ კიდევ მივცე პირობა ჩვენი პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, მშობლიურ საბჭოთა მთავრობას და პირადად ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს, რომ ქართველი ხალხი მუდამ იქნება კომუნიზმის მშენებელთა მოწინავე რიგებში და ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ განახორციელოს კომუნისტური პარტიის დიადი წინასწარდასახულებანი, პირნათლად შეხვდეს სკკპ XXII ყრილობას. (**ტაში**).

მიტინგის მონაწილეები მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ ამხ. ვ. პ. მჟავანაძის სიტყვებს, როცა მან უსურვა დღეგრძელობა ჩვენს დიად საბჭოთა სამშობლოს, საბჭოთა ხალხს, რომელიც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მიდის კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

მიტინგი დამთავრდა. მან ცხადყო ქართველი ხალხის მხურვალე სიყვარული და უსაზღვრო ერთგულება დიადი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი, ცხადყო მისი მზადყოფნა მთელი ძალღონე და ენერგია მოახმაროს საყვარელი საბჭოთა სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისა და კიდევ მეტი აყვავების საქმეს.

მიტინგის შემდეგ სტადიონზე გაიმართა დიდი სპორტული დღესასწაული. (საქდესი).



სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი ეწვია თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელექტრომავალსამშენებლო ქარხანას. სურათზე: ამხანაგები **ნ. ს. ხრუშჩოვი, ვ. პ. მჟავანაძე** და **გ. დ. ჯავახიშვილი** ესაუბრებიან ქარხნის დირექტორს **ი. ი. ზერეკიძეს.**

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ნ. ს. ხრუშჩოვი ესჯუმრა

თბილისელ ელმავალმშენებლებს

„**ქართველ** ამხანაგებს შეუძლიათ იამაყონ იმით, რომ თბილისში შექმნილი ელმავლები დადიან ჩვენი დიდი ქვეყნის მრავალ ფოლადის მაგისტრალზე“. ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის ეს ქების სიტყვები, რაც მან ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე თქვა, დიდი კმაყოფილებით მიიღეს ქართველმა ელმავალმშენებლებმა. მათთან ერთად კი რესპუბლიკის ყველა მშრომელმა.

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხანა საბჭოთა საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა საწარმო, შვიდწლედის პირმშოა. მოკლე ვადაში თბილისელმა მუშებმა, რომელთა ინიციატივას მხარი დაუჭირა საკავშირო მთავრობამ, ერთ-ერთი პატარა სარემონტო ქარხანა ელმავლების წარმოების უდიდეს ქარხნად გადააქციეს. სასიხარულო, მჩქეფარე შრომითი ცხოვრებით ცხოვრობს ამ დღეებში საწარმოს მრავალათასიანი კოლექტივი. მათი შრომის მაღალმა შეფასებამ ახალი ძალები შემატა, გააათკეცა მათი ენერგია. მრავალი კარგი საწარმოო საჩუქარი მოუმზადეს ელმავალმშენებლებმა რესპუბლიკის 40 წლისთავს. ტემპების შეუნელებლად ისინი პირნათლად ხვდებიან ღირსშესანიშნავ მოვლენას — მშობლიური პარტიის XXII ყრილობას.

13 მაისს ქარხნის უზარმაზარ კორპუსებს ელვის სისწრაფით მოედო აღმაფრთოვანებელი ცნობა, ქარხანას ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი ესტუმრებაო. საწარმოს მუშებმა და მოსამსახურეებმა სიყვარულით მორთეს ქარხნის ტერიტორია ალმებით, ყვავილებით, ტრანსპარანტებით, კორპუსებზეა ვ. ი. ლენინის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები. ტრანსპარანტებზე წარწერილია მხურვალე, გულის სიღრმიდან მომდინარე სიტყვები: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ნიკიტა სერგის-ძევ!“, „ნ. ს. ხრუშჩოვი საქართველოს ყველაზე ძვირფასი სტუმარია!“

შორიდან გაისმის აღფრთოვანებული ხმაური. ქარხნის ახლომახლო მაგისტრალებზე შეკრებილი თბილისელები მიესალმებიან ნიკიტა სერგის-ძეს. გამოჩნდა ღია მანქანა, რომლითაც მოდიან ნ. ს. ხრუშჩოვი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მჟავანაძე, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. დ. ჯავახიშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ს. ძოწენიძე. მუშები განსაკუთრებით გულთბილად ხვდებიან მათ, მიესალმებიან ხელის ქნევით. ასევე გულითადად მიესალმებიან ისინი სტუმრებს — მოკავშირე რესპუბლიკების დელეგაციათა ხელმძღვანელებს.

ნიკიტა სერგის-ძე გადმოდის მანქანიდან, მიესალმება ქარხნის დირექტორს ი. ი. ზერეკიძეს, მთავარ ინჟინერს ა. ბ. მასხარაშვილს, პარტკომის მდივანს ს. ი. სარიშვილსა და სხვა დამხვდურს, შედის საამქროში. აქ ჩვეულებრივი შრომითი დღეა. მუშებმა წუთით შეწყვიტეს მუშაობა და ერთსულოვნად ტაშს უკრავენ სასურველ სტუმარს. ნიკიტა სერგის-ძე გულითადად უპასუხებს მისალმებებზე და მიდის საამქროს სიღრმეში. ახსნა-განმარტებებს აძლევენ საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე გ. ი. ჩოგოვაძე, საწარმოს ხელმძღვანელები.

ნ. ს. ხრუშჩოვი ყურადღებას აქცევს საწევი ძრავის კორპუსს. იგი იქვე ეცნობა ახალგაზრდა მჩნეველებს გ. გურგენიშვილსა და ტ. იმნეიშვილს.

ნიკიტა სერგის-ძე მამობრივად ეკითხება როგორ მუშაობენ, სწავლობენ, ცხოვრობენ.

ყურადღებით შეცბუნებული ახალგაზრდები უამბობენ, რომ უკვე მესამე წელია მუშაობენ. ქარხანაში საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მოვიდნენ, მონაწილეობდნენ პირველი ქართული ელმავლის შექმნაში. ახლა ორივენი სწავლობენ პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე.

— გამომუშავება რამდენი გაქვთ? — ეკითხება ნ. ს. ხრუშჩოვი.

— 90 მანეთი, ზოგჯერ მეტიც, — უპასუხებენ მუშები.

— გისურვებთ წარმატებებს, — ეუბნება, ნიკიტა სერგის-ძე და მაგრად ართმევს ხელს ახალგაზრდა მუშებს.

ნ. ს. ხრუშჩოვის ყურადღება მიიპყრო რადიალურ-საბურღმა ჩარხმა, სადაც რ. გრიგოლაშვილი მუშაობს. იგი ოცი წლისაა, აქ სახელოსნო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მოვიდა, ემზადება ინსტიტუტში შესასვლელად. ნიკიტა სერგის-ძე რამდენიმე წუთის განმავლობაში ადევნებდა თვალყურს მის მუშაობას.

ნ. ს. ხრუშჩოვმა გაიარა საამქროში, შეჩერდა ხან ერთ, ხან მეორე სამუშაო ადგილას, მიესალმა მუშებს, მიულოცა დღესასწაული — საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავი. ძნელი სათქმელია, თუ რამდენი მოკლე გულითადი საუბარი გაიმართა მუშებისათვის ამ ღირსსახსოვარ დღეს. ნიკიტა სერგის-ძეს მარტოოდენ წარმოების მუშაკთა შრომითი წარმატებანი როდი აინტერესებდა.

კადრის მუშა გ. ბერიაშვილთან საუბარში ნ. ს. ხრუშჩოვი დაინტერესდა მისი ოჯახით, იმით, თუ რამდენი ხანია მუშაობს ქარხანაში, როგორი საცხოვრებელი ფართობი აქვს, მატერიალურად როგორ არის უზრუნველყოფილი.

ძნელია იმ მღელვარების გადმოცემა, რომელმაც მოიცვა მრავდავი ვ. პოხვიშჩევი, როცა მასთან ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი მივიდა. ახალგაზრდას სახე გაუბრწყინდა. ნიკიტა სერგის-ძესა და ახალგაზრდა მუშას შორის გულში ჩამწვდომი საუბარი გაიმართა.

— ამ ჩარხს კარგად ვიცნობ,— თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა, და მიუთითა სატეხ ჩარხზე, რომელზეც ვ. პოხვიშჩევი მუშაობს. — ახალგაზრდობისას, როცა ზეინკალი ვიყავი ბოსის ქარხანაში, ახლა ეს ქარხანა ლენინური კომკავშირის 15 წლისთავის სახელობისაა, ასეთ ჩარხებთან მქონდა საქმე, ამ ჩარხების პროდუქტიულობა ძალიან დაბალია. დიდი ხანია დროა შევცვალოთ ისინი.

ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა ყურადღება მიაქცია ელმავლებს, რომლებიც უკვე გამზადებულია მაგისტრალზე გასასვლელად. დგას ახალი საღებავით მოელვარე ლამაზი ტ-8. ეს ელმავალი საწარმოს კოლექტივის საჩუქარია ღირსშესანიშნავი თარიღისათვის. იგი დაახლოებით შვიდი ათასი ცხენის ძალის სიმძლავრისაა, საათში ავითარებს 100 კილომეტრ სიჩქარეს. ახალი მანქანის წონა წინანდელზე ათი ტონით ნაკლებია.

ქარხნის დირექტორი უამბობს ნ. ს. ხრუშჩოვს იმის შესახებ, თუ რა უპირატესობა აქვს ახალ მანქანას ძველთან შედარებით, აღნიშნავს, რომ ახლა ინჟინერთა კონსტრუქტორული აზრი ამუშავებს ახალი ელმავლის პროექტს. ეს მანქანა სხვებთან შედარებით უდიდესი უპირატესობებით გამოირჩევა. მას შეუძლია იკვებოს ცვლადი დენის ქსელიდან. გარდა ამისა, არის კიდევ ერთი სიახლე: ერთ ძრავს მოძრაობაში მოჰყავს ორი წყვილი თვალი. და, რაც ყველაზე დიდმნიშვნელოვანია — ელმავლის სიჩქარე საათში 160 კილომეტრი იქნება.

ქარხნის დათვალიერება დამთავრდა. ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანმხლები პირნი გამოვიდნენ ქარხნის ეზოში, სადაც უამრავი ხალხია. საწარმოში ყოფნის სახსოვრად ნიკიტა სერგის-ძეს უძღვნეს სამახსოვრო ნიშანი, რომელზეც გამოსახულია ელმავალი. ნიკიტა სერგის-ძემ მადლობა გადაიხადა, შემდეგ კი გაუზიარა საწარმოს ხელმძღვანელებს თავისი შთაბეჭდილებანი და შენიშვნები.

ნიკიტა სერგის-ძემ შეაქო საწარმოს პროდუქცია, ამავე დროს ყურადღება მიაქცია იმას, რომ საჭიროა გაუმჯობესდეს ტექნოლოგიური პროცესი.

ყველაფერი ნაკადურ წარმოებაზე უნდა გადავიყვანოთ. თუ გონივრულად არ გამოვიყენებთ ტექნიკას, ვერ მივაღწევთ შრომის ნაყოფიერების გადიდებას, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას.

ნიკიტა. სერგის-ძემ კვლავ გაიხსენა ძველი სატეხი ჩარხი, რომელიც ეს-ეს არის ნახა მუშაობის დროს.

— ასეთი ტექნიკით შორს ვერ წახვალ, — თქვა მან. — რასაკვირველია, ტექნოლოგიის შეცვლა ვეზარება, ასე უფრო სიმშვიდეა, აქ კი საჭიროა ტეხა. ყოველი სიახლე ყოველთვის ადვილად როდია ასათვისებელი. მაგრამ მტკიცედ უნდა წავიდეთ პროგრესის გზით. ჩვენს ქვეყანას სჭირდება თქვენი ელმავლები. ჩვენი რკინიგზის ტრანსპორტი სულ უფრო ენერგიულად გადადის ელექტროენერგიის გამოყენებაზე.

— თქვენი შენიშვნები. ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძევ. სავსებით დავიმსახურეთ, ამბობს საწარმოს დირექტორი. — ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი გამოუყენებელი რეზერვი გვაქვს.

— გამოიყენეთ ეს რეზერვები გონივრულად. და საქმე, მე მჯერა, წინ წავა, — შენიშნა ნიკიტა სერგის-ძემ.

ნ. ს. ხრუშჩოვი გამოეთხოვა ქარხნის კოლექტივს და მანქანაში ჩაჯდა. ქარხნის მუშები გულთბილად გამოეთხოვნენ მას, უსურვეს ჯანმრთელობა და წარმატებანი საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ.

ამავე დღეს ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი, რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, აგრეთვე მოძმე რესპუბლიკების დელეგაციათა მეთაურები ეწვივნენ საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დიდმის სასწავლო-საცდელ მეურნეობას. (საქდესი).

დარბაზობა

საქართველოს სსრ რესპუბლიკისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 40 წლისთავის აღსანიშნავად

18 მაისს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და მინისტრთა საბჭომ დარბაზობა გამართეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 40 წლისთავის აღსანიშნავად.

ამ საღამოს განსაკუთრებით საზეიმოდ გამოიყურება ფუნიკულორის მსუბუქი აყურული შენობის საპარადო დარბაზები. ჭაღების სინათლე ერწყმის მრავალი ლამპიონის სინათლეს, რომლებიც აკაშკაშებენ ქალაქის თავზე გაშენებულ შესანიშნავ პარკს. აქედან იშლება განსაცვიფრებელი ხედი საბჭოთა საქართველოს დედაქალაქისა, რომელიც სინათლის ზღვაშია ჩაფლული.

დარბაზებში არაჩვეულებრივი გამოცოცხლებაა. საღამოს 9 საათზე დარბაზობის მონაწილეთა შორის გამოჩნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი. შეკრებილნი დიდი გულითადობითა და სიხარულით შეხვდნენ მას. ნიკიტა სერგის-ძე ალერსიანად, მეგობრულად მიესალმა დამსწრეთ.

აქ არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მჟავანაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. დ. ჯავახიშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ს. ძოწენიძე და საქართველოს კომუნისტური პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელები, მოძმე რესპუბლიკების დელეგაციათა წევრები და მეთაურები — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე გ. ი. ვორონოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, უკრაინის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ვ. პოდგორნი, ბელორუსიის კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი პ. მ. მაშეროვი, უზბეკეთის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი შ. რ. რაშიდოვი, ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. შ. შარიპოვი, აზერბაიჯანის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ი. ახუნდოვი, ლიტვის კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ა. მანიუშისი, მოლდავეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გ. ტ. აფტენიუკი, ლატვიის კპ რიგის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ა. აზანი, ყირგიზეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ს. ბ. ბეგმეტოვი, ტაჯიკეთის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. რ. რასულოვი, სომხეთის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. ნ. ზარობიანი, თურქმენეთის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ა. ოვეზოვი, ესტონეთის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. გ. კებინი, სკკპ დაღესტნის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. დ. დანიალოვი, ჩაჩნეთ-ინგუშეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. ა. ალმაზოვი, ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. ახოხოვი, სკკპ ჩრდილოეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. მ. აგკაცევი.

დამსწრეთა შორის არიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, მინისტრები, რესპუბლიკურ უწყებათა ხელმძღვანელები, ძველი ბოლშევიკები, რევოლუციური მოძრაობის ვეტერანები, მრეწველობის, მშენებლობათა და სოფლის მეურნეობის მოწინავენი, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, საბჭოთა არმიის გენერლები და ოფიცრები, პრესის წარმომადგენლები.

შეკრებილთა შორის არიან აფხაზეთისა და აჭარის ასსრ რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონების დელეგაციები.

დარბაზობის დროს ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი გულითადად ესაუბრა დელეგაციათა ბევრ წარმომადგენელს, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეებსა და ნოვატორებს, საბჭოთა საქართველოს მეცნიერებს, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს. ისინი უდიდესი მადლიერების გრძნობით ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, პირადად ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი დაუცხრომლად ზრუნავენ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის აყვავებისათვის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

დამსწრენი აღტაცებით, მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ ვ. პ. მჟავანაძის სიტყვებს, როცა მან დღეგრძელობა უსურვა მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავ იდეებს, ლენინის მიერ შექმნილ ჩვენს მშობლიურ კომუნისტურ პარტიას — კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში საბჭოთა ხალხის დიდ შთამაგონებელ და დამრაზმავ ძალას, ჩვენი პარტიის ბრძნულ შტაბს — მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, ჩვენს მშობლიურ საბჭოთა მთავრობას, დღეგრძელობა უსურვა გამოჩენილ ლენინელს, ხალხთა ბედნიერებისათვის, კომუნიზმის იდეალებისათვის, დაუცხრომელ მებრძოლს, რომელსაც მთელი მსოფლიოს ხალხები პატივს სცემენ როგორც მშვიდობის დიდ დამცველს, — ჩვენს ძვირფას და საყვარელ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს.

დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ ნ. ს. ხრუშჩოვის მიერ წარმოთქმულ სადღეგრძელოს საბჭოთა საქართველოს პატივსაცემად. საქართველოს კომუნისტური პარტიის — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მებრძოლი რაზმის პატივსაცემად, ნიჭიერი. შრომისმოყვარე ქართველი ხალხის პატივსაცემად, რომელიც საბჭოთა ხალხების ერთიან ძმურ ოჯახში აშენებს მთელი კაცობრიობის ბედნიერ მომავალს — კომუნიზმს.

წარმოთქმულ იქნა საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხთა აყვავებისა და ბედნიერების, ხალხთა ურღვევი მეგობრობის — ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს ძალისა და ძლიერების წყაროს, ზეიმზე ჩამოსული ძვირფასი სტუმრების ჯანმრთელობისა და სამშობლოს საკეთილდღეოდ შრომითი წარმატებების სადღეგრძელოები.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავის აღსანიშნავად გამართულმა დარბაზობამ ჩაიარა განსაკუთრებული გულითადობის ვითარებაში, იგი მკაფიო გამოხატულება იყო იმისა, რომ ქართველი ხალხი უსაზღვროდ ერთგულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისა, ჩვენი დიადი სამშობლოს ხალხთა ურღვევი მეგობრობისა. (საქდესი).

საბჭოთა ხალხების—კომუნიზმის მშენებლების ურღვევი ძმობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საზეიმო სხდომა

ამხ. გ. ი. ვორონოვის სიტყვა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე

ძვირფასო ამხანაგებო! ნება მიბოძეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიუროს, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს სახელით გულითადად მივესალმო ამ სხდომის მონაწილეებს და მოგილოცოთ თქვენ და თქვენი სახით საქართველოს კომუნისტებს და მთელ ქართველ ხალხს — საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას, ყველა მშრომელს.

საბჭოთა საქართველოს ამ ღირსშესანიშნავ დღესასწაულს სიხარულით აღნიშნავენ რუსეთის ფედერაციის მშრომელებიც, რუს ხალხსა და ქართველ ხალხს შორის მტკიცე მეგობრობა და ძმური ურთიერთობა შეიქმნა და გამოიწრთო მათს ერთობლივ რევოლუციურ ბრძოლაში მეფის თვითმპყრობელობისა და ფეოდალურ-კაპიტალისტური უღლის წინააღმდეგ, საბჭოთა წყობილების გამარჯვებისათვის, სოციალიზმის გამარჯვებისათვის სსრ კავშირში. რუს ხალხსა და ქართველ ხალხს შორის, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხს შორის მეგობრობა და ძმური თანამშრომლობა ახლა გახდა ძალის მძლავრი წყარო კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოს საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ თვალსაჩინო გამარჯვებებს მიაღწია ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ჩვენი ქვეყნის ხალხთა ერთსულოვან ოჯახში, მუშათა კლასმა, კოლმეურნე გლეხობამ, ინტელიგენციამ საბჭოთა საქართველო გადაქცია აყვავებულ სოციალისტურ რესპუბლიკად, რომელსაც აქვს მძლავრი მრეწველობა, მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა, მოწინავე მეცნიერება, სოციალისტური კულტურა. რესპუბლიკაში შექმნილია და წარმატებით ვითარდება მეტალურგიული, მანქანათსამშენებლო, სამთამადნო, ელექტროტექნიკური, ქიმიური, მსუბუქი და კვების მრეწველობა, აშენდა და მუშაობს ყარადაღ-თბილისის გზსადენი და ატომური რეაქტორი. სამრეწველო პროდუქცია, რომელსაც საქართველოს საწარმოები ამზადებენ, ეგზავნება რუსეთის ფედერაციის ბევრ ქალაქსა და სოფელს.

დიდი მიღწევებია სოფლის მეურნეობაში. ჩამორჩენილი, დაქუცმაცებული სოფლის მეურნეობა გადაიქცა მსხვილ, მექანიზებულ მეურნეობად. კოლმეურნე გლეხობა ყოველ წელს ზრდის სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებას. მემინდვრეობასა, მებოსტნეობასა და მეცხოველეობასთან ერთად ფართოდ განვითარდა ძვირფასი ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურები.

ოთხი ათეული წლის განმავლობაში საქართველოს სს რესპუბლიკაში აყვავდა ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა. რესპუბლიკაში შექმნილია სკოლების, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების, კულტურის სახლების, კლუბების, მუზეუმების, ბიბლიოთეკების, კინოთეატრების ფართო ქსელი. უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში სწავლობს ათეულ თასობით სტუდენტი. ხალხის წიაღიდან აღიზარდნენ წარმოების მეთაურთა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა, მეცნიერთა კადრები. ქართველი პოეტების, მწერლების, მხატვრების, კომპოზიტორების საუკეთესო ნაწარმოებები ღირსეული წვლილია საბჭოთა ხალხის სოციალისტური კულტურის განვითარებაში.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დიდი წარმატებანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის — ხალხთა მეგობრობისა და ძმობის პოლიტიკის გამარჯვების მკაფიო მაგალითია.

რუსეთის ფედერაციის მშრომელები სულითა და გულით უსურვებენ მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას, მთელ ქართველ ხალხს ბედნიერებასა და აყვავებას, დიდ წარმატებებს შვიდწლიანი გეგმის დაჯილდოებათა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებაში. ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა აღვნიშნოთ ახალი გამარჯვებებით სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტურ საქართველოს, მის გმირ და შრომისმოყვარე ხალხს!

გაუმარჯოს საქართველოს კომუნისტურ პარტიას — რესპუბლიკის მშრომელთა სახელოვან მებრძოლ ავანგარდს!

დაე კიდევ უფრო გამოიწრთოს საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობა — ჩვენი დიადი სამშობლოს ძალის, ძლიერებისა და აყვავების წყარო!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა ხალხის დიდ შთამაგონებელ და ხელმძღვანელ ძალას კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში!

მისალმების ტექსტს, რომელიც გ. ი. ვორონოვმა წაიკითხა, შეკრებილნი მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

ამხ. ნ. ვ. პოდგორნის სიტყვა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, უკრაინის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის მეორმოცე წლისთავის საყოველთაო-სახალხო დღესასწაულის ამ სასიხარულო დღის ნება მიბოძეთ უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელითა და დაჯილდოებით, უკრაინის კომუნისტებისა და ყველა მშრომელის სახელით თქვენ და თქვენი სახით საქართველოს ყველა კომუნისტსა და მშრომელს გადმოგცეთ გულწრფელი ძმური სალამი, გულითადად მოგილოცოთ და გისურვოთ ახალი დიდი წარმატებანი კომუნიზმის მშენებლობაში! **(ხანგრძლივი ტაში).**

დიდმა ოქტომბრის რევოლუციამ, რომელიც ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით განხორციელდა, დაიწყო ახალი, კომუნისტური ერა კაცობრიობის ისტორიაში, განახორციელა ხალხთა სრული თანასწორუფლებიანობა, მოუტანა მშრომელებს ნამდვილი თავისუფლება. ამ პირობებში უკრაინელმა, ქართველმა და სხვა ხალხებმა, რომლებსაც წინათ ცარიზმი ჩაგრავდა, შექმნეს თავიანთი სახელმწიფოებრიობა, გამოიჩინეს სიბრძნე და შორსმჭვრეტელობა — დიდ რუს ხალხთან ერთად დაადგინეს დიდი ლენინისა და კომუნისტების პარტიის მიერ ნაჩვენები გზა. მათ შექმნეს დიადი და უძლეველი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი — ხალხთა მეგობრობისა და ძმობის ბურჯი, მთელ მსოფლიოში მშვიდობის ურყევი დასაყრდენი.

ჩვენი სახელმწიფოს ნამდვილმა დემოკრატიულმა წყობილებამ განავითარა მშრომელთა ინიციატივა და შემოქმედებითი ძალები, ფართო გასაქანი მისცა ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებას, ხოლო ამ განვითარების შედეგები ჩაეყარა შრომის ადამიანის სამსახურში. ხმარდება მის მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. იყენებს რა მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობას, ჩვენმა ხალხმა მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებებს მიაღწია. ეს გამარჯვებანი მზესავით აცისკროვნებს მთელი მსოფლიოს მშრომელთა გზას კაცობრიობის ბედნიერი მომავლისაკენ.

კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა მთავრობამ, ჩვენი ქვეყნის ხალხებმა თავიანთი მამაცური ბრძოლით იმპერიალიზმის აგრესიული ძალების წინააღმდეგ, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის, განიარაღებისათვის, კოლონიური და დამოკიდებული ხალხების სამართლიანი ბრძოლის დასაცავად მთელი მსოფლიოს მშრომელთა საყოველთაო პატივისცემა დაიმსახურეს. უკანასკნელ წლებში განუზომლად გაიზარდა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ავტორიტეტი. ახლა ჩვენი ქვეყანა, სოციალისტური ბანაკი გადამწყვეტ გავლენას ახდენენ მსოფლიო განვითარების მთელ მსვლელობაზე.

საბჭოთა ადამიანებმა კარგად იციან, რომ ყველა ეს წარმატება და გამარჯვება მიღწეულია სახელოვანი კომუნისტური პარტიისა და მისი მებრძოლი შტაბის — ცენტრალური კომიტეტის ბრძნული ხელმძღვანელობით, რომელსაც სათავეში უდგას გამოჩენილი ლენინელი ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი. **(მქუხარე ტაში).** ჩვენი ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარია ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვება. კომუნისტურმა პარტიამ მჭიდროდ შეაკავშირა მთელი მრავალეროვანი საბჭოთა ხალხი. ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ხალხთა გულწრფელი მეგობრობა და ძმობა მაგალითია ჩვენი პლანეტის ყველა ხალხისათვის.

საბჭოთა უკრაინა ბედნიერია, რომ ცხოვრობს და შრომობს საბჭოთა რესპუბლიკების სახელოვან და ერთსულოვან ოჯახში. ჩვენ, უკრაინელები, ვამაყობთ იმით, რომ დიდ რუს ხალხთან, ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხთან ერთად ერთ მწყობრში მიდის მომმე ქართველი ხალხი, რომელიც სულ ახალ და ახალ წარმატებებს აღწევს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

ჩვენი ხალხების სიკეთე და ბედნიერება ახლა ჰყავთ ერთ საბჭოთა ბაღში, ჩვენი სულიერი ცხოვრების მდინარეები ერთვიან აზროვნების, შემოქმედების, დიად სულიერ შემართვითა და საქმეთა ერთ მძლავრ საბჭოთა ოკეანეს მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ. ამ საქმეთა სიღრმე და სიმაღლე კი ჭეშმარიტად უსაზღვროა.

პირველი ადამიანის გაფრენამ კოსმოსში მთელი მსოფლიო განაცვიფრა. ყველა ჩვენგანს სულითა და გულით ახარებს, რომ ეს ადამიანია საბჭოთა მოქალაქე იური ალექსის-ძე გაგარინი, კომუნისტი, ჩვენი მფრინავების გუნდის ერთ-ერთი არწივი, კომუნისტური პარტიის აღზრდილი!

შესანიშნავი წარმატებანი, რომლებსაც საბჭოთა საქართველომ მიაღწია, თავისთავად როდია მოპოვებული. ამ წარმატებებში ჩაქსოვილია ნიჭიერი და შრომისმოყვარე ქართველი ხალხის გონება, შრომა და ენერგია, საქართველოს კომუნისტური პარტიის — ქართველი ხალხის სახელოვანი ავანგარდის, საბჭოთა კავშირის გმირული კომუნისტური პარტიის მებრძოლი რაზმის უდიდესი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა.

საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნში არის შესანიშნავი სიტყვები:

აყვავდი, ტურფა ქვეყანავ!

ილხინე, ქართველთ მხარეო!

და მართლაც, დღეს ყვავის და ზეიმობს მზიური საქართველო და მისი მშვენიერი ხალხი.

უკრაინის დიდი მგოსანი ტარას შევჩენკო თავის ნაწარმოებში „კავკასიაში“ წერდა: **За горами горы, хмарою повиті Засіяні горем, кровію политі...**

აი ასეთი იყო საქართველო წარსულში. მის პრომეთეს, როგორც შევჩენკო წერდა, ცარიზმის ორთავიანი არწივი ფლეთდა. მაგრამ ამ მტაცებელმა ვერ შეძლო შეესვა ხალხის ცხოველმყოფელი სისხლი, ხალხისა, რომელიც რუს, უკრაინელ და სხვა ხალხებთან ერთად იბრძოდა და მოიპოვა მარადიული თავისუფლება და ბედნიერება!

თქვენი სახელოვანი იუბილე ყველა საბჭოთა ხალხის დღესასწაულია. თქვენთან ერთად ამ შესანიშნავ თარიღს აღნიშნავს საბჭოთა უკრაინაც. იგი ამაყობს მრავალსაუკუნოვანი მეგობრობით მომმე საქართველოსთან, რომელზეც ასე გულთბილად და გულითადად ილაპარაკა აქ ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის გამოსვლაში. ადამიანის შრომა ჩვენს ქვეყანაში სასწაულებს ახდენს, იმიტომ, რომ იგი ადამიანთა თანამეგობრობის ნაყოფია. და ეს შრომითი მეგობრობა დიდი ხანია აკავშირებს ჩვენს ხალხებს. საქართველოსა და უკრაინის მაღაროელთა, მეტალურგთა, კოლმეურნეთა შრომა ვითარდება სოციალისტურ შეჯიბრებაში, მოწინავე გამოცდილებით ამდიდრებს ჩვენს საწარმოებსა და კოლმეურნეობებს.

ძვირფასო ამხანაგებო! დიდი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შედეგად, რომელსაც ბრძნულად ახორციელებენ ცენტრალური კომიტეტი და ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი, უშუალოდ ჩვენი ძვირფასი ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი, უფრო, ვიდრე ოდესმე, გადიდდა საბჭოთა ადამიანების პოლიტიკური და შრომითი აქტივობა, მათი ერთიანობა პარტიასთან, დარაზმულობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

საბჭოთა ადამიანები უმაგალითო აღმავლობით ეგებებიან პარტიის XXII ყრილობას, ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ წარმატებით შეასრულონ შვიდწლიანის მესამე წლის დავალებანი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებანი.

ნება მიბოძეთ სულითა და გულით ვუსურვო მომმე ქართველ ხალხსა და მის სახელოვან კომუნისტურ პარტიას, რომ შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებანი და მოიპოვონ ახალი დიდი გამარჯვებანი შემდგომ სამეურნეო და კულტურულ განვითარებაში, შრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებაში, კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

გაუმარჯოს ორდენოსან საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომუნისტურ პარტიას!

დაე განმტკიცდეს და აყვავდეს სსრ კავშირის ხალხთა მარადიული ძმური მეგობრობა — ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს ძალისა და ძლიერების წყარო!

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას და მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, რომელსაც საბჭოთა ხალხი მიჰყავს გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ, ნათელი მომავლისაკენ — კომუნიზმისაკენ! **(მქუხარე ტაში).**

ამხ. ბ. ნ. ხრუშჩოვის სიტყვა

ბელორუსიის კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი

ძვირფასო ამხანაგებო, მეგობრებო!

ნება მიბოძეთ ბელორუსიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს დავალებით, ბელორუსიის ყველა მშრომელის სახელით მხურვალედ მოგილოცოთ თქვენ, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას და გადავცე მთელ ქართველ ხალხს ბელორუსი ხალხის გულითადი ძმური სალამი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის სახელოვანი ორმოცი წლისთავის დღეს. **(ხანგრძლივი ტაში).**

თქვენი დღესასწაული ჩვენი დღესასწაულიც არის. განსაკუთრებით დიდ ზეიმურ ხასიათს აძლევს მას ძვირფასი ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის მონაწილეობა სახელოვანი საქართველოს იუბილეს დღესასწაულში. მისი მკაფიო, აღმაფრთოვანებელი სიტყვა, წარმოთქმული დღეს ამ ტრიბუნიდან, და ქართველი ხალხის შრომის მადალი შეფასება გამოხატავს მთელი საბჭოთა კავშირის ხალხთა გულწრფელ სიყვარულს ჩვენი მეგობრებისა და ძმების — საქართველოს სსრ მშრომელებისადმი.

ოთხმა ათეულმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად, რაც განხორციელდა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, გენიალური ბელადის ვ. ი. ლენინის მეთაურობით, საქართველოში აფრიალდა საბჭოების ძლევამოსილი დროშა.

რა ბევრი რამ გაკეთდა საბჭოთა საქართველოში ამ ხნის მანძილზე! ქართველმა ხალხმა უდიდეს წარმატებებს მიაღწია ამ მოკლე ისტორიულ ვადაში ახალი ბედნიერი ცხოვრების მშენებლობაში!

ბელორუსიის სახალხო პოეტი იანკა კუპალა, გამოხატავდა რა ბელორუსი ხალხის გრძნობებს, თავის ლექსში „საქართველო“ უმღეროდა ამ მშვენიერ ქვეყანას.

სასიამოვნო და სასიხარულოა, რომ ქართველი ხალხის ყველა თვალსაჩინო გამარჯვების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია საქართველოს სახელოვანი კომუნისტური პარტია — დიადი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი მებრძოლი რაზმი. სასიამოვნო და სასიხარულოა იმის შეგნება, რომ საბჭოთა საქართველოს წარმატებანი შესაძლებელი გახდა კომუნისტური პარტიის ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის მეოხებით. **(ტაში).**

ქართველი ხალხი, რომელიც სულ ახალ და ახალ ძალებს იკრებს და რომლის ტალანტები ბრწყინავენ სსრ კავშირის ხალხთა ერთსულოვან ოჯახში, სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის ბრძნული ხელმძღვანელობით ყოველ წელს ადიდებს თავის წვლილს კომუნიზმის გამარჯვების საქმეში.

საქართველოს რესპუბლიკისა და კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავი აღინიშნება მნიშვნელოვან ხანაში — განხორციელდა საბჭოთა ადამიანის ტრიუმფული გაფრენა კოსმოსში, რაც უმაგალითო გმირობაა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში იცოცხლებს, როგორც მეცნიერებისა და ტექნიკის თვალსაჩინო მიღწევა, როგორც საბჭოთა ხალხის შრომისა და გენიის დიადი ჰიმნი.

ახლა ქართულ მიწაზე, ისევე როგორც ბელორუსიისა და საბჭოების ქვეყნის მთელ მიწა-წყალზე, შვიდწლიანის მესამე წლის გაზაფხულია. ეს ყველგან იგრძნობა — იგრძნობა ადამიანთა მხნე, მშვენიერი განწყობილებით, რომლებსაც შრომა სწყურიათ, იგრძნობა მაისის კაშკაშა მზით, და ტრაქტორების გუგუნით საქართველოსა და მთელი საბჭოთა ქვეყნის მინდვრებსა და პლანტაციებში, სადაც წარმოებს ბრძოლა უხვი მოსავლისათვის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის.

ბელორუსი ხალხი სულითა და გულით უსურვებს საქართველოს მშრომელებს ახალ წარმატებებს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს — ხალხთა ურღვევი ძმური მეგობრობისა და დიდების ბურჯს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, რომელსაც საბჭოთა ხალხი მიჰყავს გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ, ნათელი მომავლისაკენ — კომუნიზმისაკენ! **(მქუხარე ტაში).**

ამხ. ა. შ. შარიპოვის სიტყვა

ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ძვირფასო ამხანაგებო!

ნება მიბოძეთ ყაზახი ხალხისა და ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელის სახელით, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით მოწიწებით მივესალმო და უგულითადესად მივულოცო მომმე ქართველ ხალხს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელოვანი იუბილე. **(ხანგრძლივი ტაში).**

ნება მომეცით განსაკუთრებით გადავცე მხურვალე სალამი საქართველოს სახელოვან მუშათა კლასს ყარაგანდის მეშახტეების, ბალხაშის მეტალურგების, თემირ-თაუსა და სარბაის მშენებლების სახელით და ვუსურვო კლასობრივ ძმებს ახალი შესანიშნავი წარმატებანი შრომაში სამშობლოს საკეთილდღეოდ და სასახელოდ. **(ტაში).**

გულწრფელი სალამი შემოუთვალეს და კიდევ უფრო დიდი წარმატებანი უსურვეს შრომაში საქართველოს კოლმეურნე გლეხობას ყაზახეთის ყამირი მიწების დამპყრობლებმა — კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობების, მტაშებმა. **(ტაში).**

ჩვენი რესპუბლიკის ინტელიგენტური შრომის მუშაკები მიესალმებიან და დღესასწაულს ულოცავენ ქართველ მეცნიერებს, მწერლებს, ხელოვნების მოღვაწეებს და ქმაყოფილებით აღნიშნავენ მათს უდიდეს წვლილს საბჭოთა კავშირის ხალხთა მრავალეროვნულ კულტურაში.

საქართველოს კომპარტიის— საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მებრძოლი რაზმის — შექმნის ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით ჩვენ მხურვალედ მივესალმებით საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და მისი სახით რესპუბლიკის ყველა კომუნისტს. **(ტაში).**

ძვირფასო ამხანაგებო!

დიდი ქმაყოფილებისა და გულწრფელი სიხარულის გრძნობით აღნიშნავენ ყაზახი ხალხი, ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელნი საქართველოს სსრ წარმატებებსა და მიღწევებს, რომლებიც მოპოვებულია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დიდი რუსი ხალხისა და საბჭოთა კავშირის სხვა ხალხების დახმარებით გადაიქცა აყვავებულ მხარედ, რესპუბლიკად, რომელსაც დიდად განვითარებული სოციალისტური ეკონომიკა და კულტურა აქვს.

ეს კომუნისტური პარტიის ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების, სოციალისტური ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის იდეათა ხორცშესხმის შედეგია.

საქართველოს, ყაზახეთისა და საბჭოთა კავშირის სხვა მომმე რესპუბლიკებას კომუნისტური მომავლის ბევრი ნიშანი.

დაე კიდევ უფრო აკაშკაშდეს მთელ ჩვენს პლანეტაზე თავისუფლების მზე, მძლავრი საბჭოთა სახელმწიფოს ბედნიერების მზე, რომელიც მსოფლიო პროგრესის ავანგარდში დგას, რომელმაც პირველად გაკვალა კოსმოსის გზა, რომელმაც მაღლა აიფრიალა მარქსიზმ-ლენინიზმის ძლევამოსილი დროშა!

ძვირფასო მეგობრებო! ნება მიბოძეთ უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით, რესპუბლიკის ყველა მშრომელის სახელით სულითა და გულით ვუსურვო საქართველოს კომუნისტურ პარტიას. საბჭოთა საქართველოს მთელ შრომისმოყვარე ხალხს ახალი შესანიშნავი წარმატებანი შვიდწლიანის დიდებული ამოცანების განხორციელებისათვის, სკკპ XXII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის ბრძოლაში.

ჩვენი მომავალი მშვენიერია, იგი გაცისკროვნებულია ლენინის გენიის ჩაქუჩრობელი შუქით, ჩვენ გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ მიგვიძღვის მშობლიური კომუნისტური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი, რომელსაც მეთაურობს გამოჩენილი ლენინელი; კომუნიზმის გამარჯვებისათვის მტკიცე და ერთგული მებრძოლი ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი. **(მქუხარე ტაში).**

გაუმარჯოს აყვავებულ საბჭოთა საქართველოს!

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხების ურღვევ ძმობას!

დიდება ლენინის დიად პარტიას! **(მქუხარე ტაში).**

ამხ. პ. მ. მაშეროვის სიტყვა

ბელორუსიის კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი

ძვირფასო ამხანაგებო, მეგობრებო!

ნება მიბოძეთ ბელორუსიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს დავალებით, ბელორუსიის ყველა მშრომელის სახელით მხურვალედ მოგილოცოთ თქვენ, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას და მეც ამ ბედნიერ ბედს ვიზიარებ ამ ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის ნაყოფებს,

საბჭოთა ხალხების—კომუნიზმის მშენებლების ურღვევი ძმობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საზეიმო სხდომა

ამხ. ვ. ი. ახუნდოვის სიტყვა

აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

ძვირფასო ამხანაგებო!
ძვირფასო მეგობრებო!

მხურვალე სალამი მოძმე აზერბაიჯანელი ხალხისაგან ქართველ ხალხს! **(მქუხარე ტაში).** (ამ სიტყვებს ორატორი ქართულად ამბობს),

აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და მინისტრთა საბჭომ დაგვავალეს მთელი ამ სახელით, მთელი აზერბაიჯანელი ხალხის სახელით მივულოცოთ ჩვენს მეგობარსა და ძმას ქართველ ხალხს მისი დიადი ეროვნული დღესასწაული — საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავი.

ამხანაგებო! ოთხი ათეული წელი გავიდა იმ დღიდან, როცა საქართველოს მშრომელებმა დიდი რუსი ხალხის დახმარებით ხელში აიღეს ძალაუფლება და დაადგნენ სოციალისტური განვითარების გზას.

ამ ისტორიულად მოკლე ვადაში საქართველოს მუშებმა, გლეხებმა და ინტელიგენციამ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, საბჭოთა ხალხებს ძმურ ოჯახში გადაეცნენ თავიანთი ქვეყანა სოციალიზმის კაჟაში შეტევრად ჩვენს სამშობლოს აღმოსავლეთ ზღუდეებზე.

აზერბაიჯანის მშრომელებს გულწრფელად უხარიან და სულითა და გულით ულოცავენ ზეიმის დღეს საქართველოს მოძმე ხალხს გრანდიოზულ წარმატებებს სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

ამხანაგებო! ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების მეგობრობას შესანიშნავი ისტორია და მდიდარი ტრადიციები აქვს. ეს მეგობრობა გამოიბრძოდა მძიმე განსაცდელში: უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში, რეგოლუციის ბარიკადებზე, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

აზერბაიჯანელი ხალხი სათუთად ინახავს ქართველი ხალხის ერთგული შვილების იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის, გრიგოლ კონსტანტინეს-ძე ორჯონიკიძის, ალიოშა ჯაფარიძის, ლადო კეცხოველის, გიორგი და ვანო სტურუების, ვიქტორ ნანეიშვილისა და სხვების ხსოვნას, ვინც რუსი, აზერბაიჯანელი და სომეხი ხალხების შვილებთან ერთად ხელმძღვანელობდა ბაქოს მრავალეროვანი პროლეტარიატისა და ამიერკავკასიის ყველა მშრომელის გმირულ ბრძოლას თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ. **(მქუხარე ტაში).**

საქართველოსა და აზერბაიჯანის მშრომელთა მეგობრობას ახალი შინაარსი შეენიჭა სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის მსვლელობაში,

ძვირფასო მეგობრებო, თქვენი შესანიშნავი დღესასწაული ამასთან ერთად ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის დღესასწაულია. ამის ბრწყინვალე დადასტურებაა ის, რომ თქვენს ზეიმს ესწრებიან ყველა მოკავშირე რესპუბლიკის დელეგაციები, თქვენს ზეიმს ესწრება ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის საუკეთესო მეგობარი — ხალხის ბედნიერებისათვის დაუცხრომელი მებრძოლი ნ. ს. ხრუშჩოვი! **(მქუხარე ტაში).**

ამხანაგებო! ახლახან დამთავრდა ზეიმი მოძმე სომხეთში, გასულ წელს იზეიმა აზერბაიჯანმა, ახლა ჩვენ ვდღესასწაულობთ მოძმე საქართველოს 40 წლისთავს. ყველა ამ ზეიმში მონაწილეობა მიიღო ნ. ს. ხრუშჩოვმა.

ეს ზეიმები გადაიქცა ხალხთა ლენინური მეგობრობის მძლავრ დემონსტრაციად იმის დემონსტრაციად, რომ ამიერკავკასიის ხალხები მჭიდროდ არიან შეკავშირებული ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის გარშემო, რომელსაც სათავეში უდგას ნაცადი ლენინელი ნ. ს. ხრუშჩოვი. **(მქუხარე ტაში).**

ამხანაგებო! დიდმა ლენინმა იწინასწარმეტყველა, რომ კავკასიის ხალხთა მეგდრო კავშირი შექმნის ერებს შორის მშვიდობის ნიმუშს, ბურჟუაზიის დროს არნახულ და ბურჟუაზიულ წყობილებაში შეუძლებელს.

დღეს სიამაყით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყველაფერი ის, რაზეც ოცნებობდა ლენინი, განსაცვიფრებელი სიზუსტით ახდა!

დიდება ჩვენს დიდ მასწავლებელს ლენინსა და მის უკვდავ მოძღვრებას — ლენინიზმს!

დიდება დიდ რუს ხალხს, რომელმაც კაცობრობას მისცა დიდი ლენინი! **(მქუხარე ტაში).** (ამ სიტყვებს ორატორი ქართულად ამბობს),

ამხანაგებო! ჩვენი ბედნიერებაა, რომ ჩვენი ხალხების გზები ისტორიაში შეუერთდა დიდი რუსი ხალხის გზას.

ამიერკავკასიის ხალხთა საუკეთესო შვილები აბოვიანი, ახუნდოვი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვები მუდამ მოუწოდებდნენ თავიანთ ხალხებს დიდ რუს ხალხთან მეგობრობისაკენ. ილია ჭავჭავაძე ასწავლიდა თავის ხალხს რუსთა სიყვარულს, მათთან მეგობრობას, მათთან ერთი გზით სიარულს.

აკაკი წერეთელმა ეს აზრი ლექსად გადოთქვა:

....„ან ქვაკუთხედად
უნდა დაედვას „ორთა კავშირი“,
კავშირი ჯვარით გამყარებული,
კავშირი ძმური და მეგობრული!..
და, ვინც იფიქროს მისი გაწყვეტა,
იყოს წყეული ხვთისგან და კრული!“

მაშ თვალისჩინივით დავიცვათ, ამხანაგებო, ჩვენი ხალხების მეგობრობა დიდი რუსი ხალხის მეთაურობით.

გაუმარჯოს ხალხთა მეგობრობას!
გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!
გაუმარჯოს საქართველოს კომპარტიას!
დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას! **(მქუხარე ტაში).** (უკანასკნელ სიტყვებს ორატორი ქართულად ამბობს),

საბჭოთა ხელისუფლების წლებში კომუნისტური პარტიის ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის, საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევი ძმური მეგობრობისა და ქართველი ხალხის თავდადებული შრომის შედეგად საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა გადაიქცა აყვავებულ მხარედ, საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ მოწინავე რესპუბლიკად. ეს შესანიშნავი წარმატებები ახარებს ყველა საბჭოთა ადამიანს, წვლილია კომუნიზმის მშენებლობის საერთო საქმეში, ჩვენი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებაში.

ახლა საბჭოთა კავშირს, რომელმაც განაცვიფრა მთელი მსოფლიო გრანდიოზული მიღწევებით, შეჰყურებს მთელი კაცობრობა. საბჭოთა კავშირის წარმატებებს, მშვიდობისათვის მგზნებარე მებრძოლის ნ. ს. ხრუშჩოვის სახელს უბრალო ადამიანები ყველგან უკავშირებენ მშვიდობას, პროგრესს, კოლონიური უღლისგან განთავისუფლებას. შორეული აფრიკის ქვეყნებში ყოფნის დროს დავრწმუნდი, თუ რა უდიდესი გავლენითა და პატივისცემით სარგებლობს ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი.

ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის მგზნებარე სიტყვები, მისი მოწოდებანი მშვიდობისათვის, კოლონიალიზმის სამარცხვინო სისტემის ლიკვიდაციისათვის ყველა ჩაგრული ხალხის უდიდეს ინტერესს იწვევს, ისინი დიდი აუოროადღებით ადევნებენ თვალყურს ნიკიტა სერგის-ძის ყოველ გამოსვლას, და როგორც კი შეიტყობენ ამის შესახებ, მაშინვე მიდიან საბჭოთა კავშირის საელჩოში, მოითხოვენ გადაუთარგმნონ მისი სიტყვა. ისინი მოუთმენლად მოელიან თქვენს ჩასვლას, ნიკიტა სერგის-ძეს, აფრიკის ქვეყნებში, **(მქუხარე ტაში).**

ჩვენს საყოველთაო სიხარულს იწვევს ის, რომ ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი დღეს ესწრება ამ სხდომას, როგორც ყველაზე ძვირფასი სტუმარი და დიდი მეგობარი ქართველი ხალხისა. მისი აქ ყოფნა კიდევ უფრო სასიხარულოსა და საზეიმოს ხდის ამ შესანიშნავ დღესასწაულს. **(ხანგრძლივი ტაში).**

უკანასკნელ წლებში ჩვენს ქვეყანაში ძლიერ კარგი ტრადიცია შეიქმნა — რეპუბლიკას საიუბილეო დღეებში იწვევენ ხოლმე საბჭოთა მთავრობის მეთაურს, ჩვენი პარტიის ხელმძღვანელი. ეს ახარებს ყველა მშრომელს და აღაფრთოვანებს მათ ახალი შრომითი გმირობისათვის. დღეს ეს სიხარული აღავსებს საბჭოთა საქართველოს ყველა მშრომელის გულს. ახლო ხანში თავიანთ მეორმოცე წლისთავს აღნიშნავენ შუა აზიის რესპუბლიკები, მათ შორის ტაჯიკეთიც. ტაჯიკი ხალხი უსაზღვროდ გაიხარებს, თუ თავის რესპუბლიკაში, საკოლმეურნეო მინდვრებში, სამრეწველო საწარმოებში და მშენებლობებზე გიხილავს თქვენ, ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძეს, როგორც ყველაზე ძვირფას სტუმარს, ყველაზე ერთგულ და დიდ მეგობარს. **(ხანგრძლივი ტაში).**

ძვირფასო ამხანაგებო! მოძმე ქართველი ხალხის დღესასწაული ყველა საბჭოთა ადამიანის დღესასწაულია. ტაჯიკი ხალხი, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი, გულწრფელად ხარობს საბჭოთა საქართველოს წარმატებებით და ამ ღირსშესანიშნავ დღეს სულითა და გულით უსურვებს მოძმე ქართველ ხალხს, საქართველოს რესპუბლიკის მშრომელებს, საქართველოს კომუნისტურ პარტიას, საქართველოს სსრ მთავრობას ახალ წარმატებებს კომუნისტურ მშენებლობაში. **(ტაში).**

გაუმარჯოს მოძმე ქართველ ხალხსა და მის მებრძოლ ავანგარდს-საქართველოს კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევ ძმურ მეგობრობას!

დიდება ჩვენს შშობლიურ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, რომელიც მტკიცედ მიუძღვის საბჭოთა ხალხს ლენინური გზით კომუნიზმის გამარჯვებისაკენ! **(მქუხარე ტაში).**

ამხ. ვ. ა. აზანის სიტყვა

ლატვიის კპ რიგის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი

ძვირფასო მეგობრებო! ლატვიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ლატვიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს დავალებით ნება მიბოძეთ მხურვალედ მოგესალმოთ და მოგილოცოთ თქვენ, და თქვენი სახით საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის მუშებს, კოლმეურნეებსა და ინტელიგენციას სახელოვანი იუბილე და სულითა და გულით ყოველივე სიკეთე გუსურვო ქართველ ხალხს ლატვიელი ხალხისაგან. **(მქუხარე ტაში).**

საბჭოთა ხელისუფლების ორმოცი წლის მანძილზე საქართველოში საქართველოს კომუნისტური პარტიის — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი მებრძოლი რაზმის — ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხისა და ჩვენი დიდი სახელმწიფოს კეთილი ხალხის ძმური და უანგარო დახმარებით საქართველოს მშრომელებმა უდიდესი წარმატებები მოიპოვეს კულტურული და სამეურნეო მშენებლობის დარგში, წლითწლობით აღწევენ სულ ახალ-ახალ სახელოვან გამარჯვებებს.

ეს შრომითი წარმატებები, ძვირფასო მეგობრებო, დიდად ახარებენ ლატვიელ ხალხს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის სიბრძნის მკაფიო დადასტურებაა. ეს წარმატებები კვლავ მოწმობენ ერთიან ძმურ ოჯახად შეკავშირებული ჩვენი სამშობლოს ხალხთა მეგობრობის მძლავრ ურყევ ძალას.

ჩვენი ქვეყნის ხალხთა წმიდათა-წმიდა მეგობრობა იწრთობოდა რევოლუციისა და სამოქალაქო ომის ცეცხლში, დიდი სამამული ომის ბრძოლებში.

ჩვენი ძმური მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდა და აყვავდა ახლა, როცა ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა ხალხი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, რომელსაც ურყევი ლენინელი ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი მეთაურობს, აშენებს კომუნიზმის დიდებულ შენობას. **(ხანგრძლივი ტაში).**

განსაკუთრებით მტკიცე მეგობრობა დამყარდა ჩვენი რესპუბლიკების დედაქალაქებს შორის, თბილისისა და რიგის შეჯიბრება შესანიშნავ ტრადიციად გადაიქცა, იგი, ეს ცხოველმყოფელი შეჯიბრება, საწარმოო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა მხარეს მოიცავს და დიდი გამარჯვება მოაქვს.

ამ შეჯიბრებას საფუძვლად უდევს ყოველივე იმ საუკეთესოს გაზიარება, რაც ჩვენს ხალხებს აქვთ, რაც მოპოვებულია მათი შემოქმედებითი შრომით.

ძვირფასო მეგობრებო! თქვენი სახელოვანი იუბილეს ამ დღეს გისურვებთ ახალ გამარჯვებებს ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში, გისურვებთ შეხვედეთ სკკპ მომავალ XXII ყრილობის დიდი წარმატებებით კომუნიზმის მშენებლობაში, დაე ყოველთვის და ყველგან თქვენს წამოწყებებს სამშობლოს სადიდებლად, კომუნიზმის გამარჯვებისათვის — წარმატება მოჰყოლოდეს! **(ტაში).**

გაუმარჯოს ჩვენს დიად სამშობლოს— საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

გაუმარჯოს სსრ კავშირის ხალხთა ურღვევ ძმურ მეგობრობას!

გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს ნიჭიერ და შრომისმოყვარე ქართველ ხალხს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, რომელსაც ნ. ს. ხრუშჩოვი მეთაურობს, და რომელიც წარმატებით მიუძღვის ჩვენი ქვეყნის ხალხებს წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ! **(მქუხარე ტაში).**

ამხ. ი. ნ. ზარობიანის სიტყვა

სომხეთის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

ძვირფასო ამხანაგებო! ძვირფასო მეგობრებო!

ბევრი სასიხარულო მოვლენა ხდება საბჭოთა კავშირის ხალხთა ცხოვრებაში, ერთ-ერთი ასეთი სასიხარულო მოვლენა, რომელიც ახარებს ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სამშობლოს ყველა მშრომელის გულს, არის ჩვენი შშობლიური საბჭოთა საქართველოს სახელოვანი იუბილე.

წება მიბოძეთ, ძვირფასო მეგობრებო, სომხეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით, საბჭოთა სომხეთის ყველა მშრომელის სახელით მხურვალედ მოგესალმოთ თქვენ და თქვენი სახით მოძმე ქართველ ხალხს შესანიშნავი დღესასწაულის — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავის გამო. **(ხანგრძლივი ტაში).**

ყველა ჩვენგანი გრძნობს მზიური ქართული მიწის შვილთა მიღწევებს, რომლებიც ესოდენ უანგაროდ აბმარენ კომუნიზმის მშენებლობის კეთილშობილურ საქმეს თავიანთი მხურვალე გულის მგზნებარებას, თავიანთ ტემპერამენტს, თავიანთ შემოქმედებითს შემართებას.

ამხანაგებო! ჩვენ დღემდე იმ შთაბეჭდილებებით ვართ გასსენებული, რაც მოახდინეს ერეკანში სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოსა და კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საიუბილეო საზეიმო სხდომასა და რესპუბლიკის მშრომელთა მრავალთასიან მიტინგზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, ჩვენი ძვირფასი ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის შესანიშნავმა გამოსვლებმა, რომელიც სომხეთში ჩამოვიდა და ჩვენთან ერთად გაიზიარა ჩვენ სიხარული.

ძნელია, ამხანაგებო, გამოვხატოთ, თუ რა აღტაცება და ზეიმი, რა უმაგალითო შრომითი და პოლიტიკური აღმავლობა გამოიწვია სომეხ ხალხში ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის ყოფნამ ჩვენს რესპუბლიკაში, რასაც ჩვენთვის ეშმარიტად ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

ამ დაუვიწყარ დღეებში ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი ბევრჯერ შეხვდა ხალხს, მეცნიერებისა და შრომის ადამიანებს. მისი შინაარსიანი და გულში ჩამწვდომი საუბრები, სასარგებლო შენიშვნები და ქეთილი რჩევა-დარიგებანი ფასდაუდებელ დახმარებას გაგვიწევენ რესპუბლიკის ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის შემდგომი აღმავლობის საქმეში. **(ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენ დღესაც დიდი სიყვარულით მოვისმინეთ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მკაფიო სიტყვა და თქვენთან ერთად მხურვალედ მივესალმებით აქ ძვირფას ნიკიტა სერგის-ძეს და მისი სახით ჩვენს საბელოვან კომუნისტურ პარტიასა და მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, რომლებიც მამობრივად ზრუნავენ ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხის კეთილდღეობისა და აყვავებისათვის **(ხანგრძლივი ტაში).**

ამხანაგებო, ბევრი რამ აქვს საერთო ქართველი და სომეხი ხალხების ისტორიულ ბედს. ჩვენი ხალხების მეგობრობა უხსოვარი დროიდან იწყება. ჩვენ წარსულში ვიზიარებდით მძიმე დამარცხებებს საერთო განმათავისუფლებელ ბრძოლაში, ვიზიარებდით გამარჯვებათა სიხარულსაც. ერთად დავძლიეთ ისტორიის მრისხანე განსაცდელი, შვეიცარიჩუნეთ ჩვენი კულტურა, ჩვენი ღირსება, ჩვენი პატიოსნება, და ერთადვე მოვედით ოქტომბრის დიად ეპოქაში.

ერთიანნობის ეს გრძნობა კიდევ უფრო განავითარა და განმტკიცა ჩვენს ხალხებში კომუნისტურმა პარტიამ, რომელმაც ხალხის შეგნება აიყვანა პროლეტარული, ლენინური ინტერნაციონალიზმის ნათელ მწვერვალებამდე.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ეროვნული და სოციალური თავისუფლება მოუტანა ქართველებს, სომხებს, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხს. ჩვენ უდიდესი მადლიერების გრძნობით წარმოვთქვამთ მგზნებარე ბოლშევიკი-ლენინელების, კომუნიზმის საქმისათვის სახელოვანი მებრძოლების სახელებს, რომლებმაც დარაზმეს ამიერკავკასიის მშრომელები მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით — ი. სტალინის, მ. კალინინის, ს. შაუმიანის, ა. ჯაფარიძის, ს. კიროვის, ს. ორჯონიკიძის, ა. მიკოიანის, ლ. კეცხოველის, მ. ცხაკაიას, მ. ახიზბეკოვის, ა. ფიოლეტოვის, ნ. ნარიმანოვის, მ. ორახელაშვილის, ს. სპანდარიანის, ბ. ანუნიანცისა და სხვათა სახელებს, რომლებმაც გვიჩვენეს პატიოსნის საქმისადმი, ხალხის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების მაგალითი. **(მქუხარე ტაში).**

საუკუნეთა სიღრმეში ჩაისახა ჩვენი ხალხების მჭიდრო მეგობრობა დიდ რუს ხალხთან, რომელმაც გადამწყვიტა როლი შეასრულა ქართველი, სომეხი და სხვა ხალხების განთავისუფლებასა და ეროვნულ აღორძინებაში.

ჩვენი ხალხის გრძნობები კარგად გადმოხატა სომეხმა პოეტმა ამო საღიანმა:

ჩვენ მარადჟამ ორ მეზობელს
სიერთო გვაქვს ბურ-მარილი
და როგორც ძმებს, უანგაროდ
ერთად გვხვდება ჭირიც, ლხინიც,
ვერ მოგვდრეს მტრის ოინები,
მისი ძალა, თუ გინდ, დიდი,
ჩვენ რუსებმა შეგვაერთა,
განამტკიცა ძმობის ხიდი.

ერთიანი ოჯახის შეგნება და გრძნობა, მეგობრობისა და შემშმარიტი ძმობის გრძნობა ჩვენი ხალხების ყველაზე დამახასიათებელი თვისებაა. სომხეთის პოეტები უმღერიან საქართველოს ბუნების სილამაზეს, მის მაღალ გოლიათ მთებსა და ზღაპრულ ველებს, კახეთსა და კოლხიდას, დიდებულ მტკვარსა და არაგვს, უმღერიან ისევითვე შთაგონებით, როგორც მშობლიურ სომხეთს, არარატის ველსა და ლაჟვარდოვან სევანს, არაქსსა და რიზდანს. ჩვენი პოეტები გულში ჩამწვდომი სიმღერებით განადიდებენ მოძმე ქართველი ხალხის სულის მომხიბვლელობას.

(დასასრული მე-5 გვერდზე).

ამხ. ი. ა. მანიუშისის სიტყვა

ლიტვის კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი

ძვირფასო ამხანაგებო!

ნება მიბოძეთ ლიტვის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ლიტვის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, მინისტრთა საბჭოსა და ყველა მშრომელის სახელით და დავალებით გადმოგცეთ თქვენ და თქვენი სახით მოძმე საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ყველა მშრომელს მხურვალე, სალამი და გულითადი მოლოცვა სახელოვანი იუბილეს — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავის გამო. **(ხანგრძლივი ტაში).**

საბჭოთა ლიტვის მშრომელნი დიდი ყურადღებით ადევნებენ თვალყურს ქართველი ხალხის წარმატებებს და შეგარიან საბჭოთა საქართველოს მიღწევებს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში, რაც მოპოვებულია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავი აღინიშნება ღირსშესანიშნავ დღეებში, როცა ჩვენი დიადი სამშობლოს თვალუწვდენ სივრცეებზე გაიშალა საყოველთაო-სახალხო შეჯიბრება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის. ეჭვი არ არის, რომ ჩვენი პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში ამ ისტორიული მოვლენის აღსანიშნავად საქართველოს მშრომელები, ისე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, თავიანთ ღირსეულ წვლილს შეიტანენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ახალი წარმატებების მიღწევაში.

ლიტველი ხალხი სულით და გულით გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, ახალ დიდ გამარჯვებებს კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე, ჩვენი საყვარელი სამშობლოს კეთილდღეობისა და აყვავებისათვის.

დაე თქვენი ქალაქები და სოფლები გახდნენ კიდევ უფრო კეთილმოწყობილი, ლამაზი, ხოლო მშრომელთა ცხოვრება კიდევ უფრო მდიდარი და საამური.

დაე განმტკიცდეს და აყვავდეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ყველა ხალხის დიადი ურღვევი მეგობრობა!

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს სახელოვან 40 წლისთავს!

გაუმარჯოს ჩვენს შშობლიურ კომუნისტურ პარტიას და მის ცენტრალურ კომიტეტს ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის მეთაურობით! **(მქუხარე ტაში).**

ამხ. ს. ბ. ბეგმეჯოვას სიტყვა

ყირგიზეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

ძვირფასო მეგობრებო, ამხანაგებო! ნება მიბოძეთ ყირგიზეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ყირგიზეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით, მაღალმთიანი მხარის შრომელთა მთელი მრავალეროვანი ოჯახის სახელით მხურვალედ მოგილოცოთ თქვენ, თქვენი სახით კი რესპუბლიკის ყველა შრომელს ქართველი ხალხის ცხოვრების დიადი დღესასწაული—საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის ორმოცი წლისთავი. **(ხანგრძლივი ტაში).**

გულში ლენინის სახელით ქართველები, ყირგიზები და ჩვენი ქვეყნის ყველა სხვა ხალხი მიდიან ოქტომბრის ჩაუქრობელი შუქით გასხივოსნებული ნათელი გზით. ათასობით კილომეტრი აშორებს ერთმანეთს კავკასიონსა და ტიან-შანს, მაგრამ ჩვენ დაგვნათის ერთი მზე, ჩვენ ვცხოვრობთ ერთ შშობლიურ საბჭოთა მიწაზე, ხალხთა მეგობრობა, რომელმაც მანძილი არ იცის,—დიადი, ცხოველმყოფელი ძალაა.

ჩვენი მრავალეროვანი საბჭოთა სამშობლოს ყველა ხალხთან ერთად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მისი ერთ-ერთი მებრძოლი რაზმის—საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით რესპუბლიკის მშრომელებმა ბრძოლისა და გამარჯვების სახელოვანი გზა გაიარეს. **(ტაში).**

ქართველმა ხალხმა, გმირული რევოლუციური ტრადიციების ხალხმა, ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ჩვენი ქვეყნის ხალხთა წმიდათა წმიდა ბრძოლაში ცარიზმის, ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ, დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციაში გამარჯვებისათვის, ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის. **(ტაში).**

საბჭოთა საქართველოს, საქართველოს კომუნისტური პარტიის ორმოცი წლისთავი მარტოოდენ ქართველი ხალხის ეროვნული იუბილე როდია, იგი დიდი და სასიხარულო დღესასწაულია ყველა საბჭოთა ადამიანისა, რომლებიც ერთიან, ურღვევ ოჯახად შეკავშირა ჩვენი შშობლიური კომუნისტური პარტიის ბრძნულმა ლენინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ.

სახელოვანი დღესასწაულის — რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავის დღეს საბჭოთა ყირგიზეთის მშრომელები ესურვებენ მოძმე საქართველოს მუშებს, კოლმეურნეებსა და ინტელიგენციას ახალ წარმატებებს კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული გეგმების წარმატებით განხორციელებისათვის, შეიდწლედის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში.

ჩვენი დიადი სამშობლო განიცდის მძლავრ აღმავლობას, მატერიალური და სულიერი ძალების აყვავებას. საბჭოთა კავშირის ხალხები, რომლებიც მჭიდროდ არიან დარაზმულნი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, რომელსაც ნ. ს. ხრუშჩოვი მეთაურობს, სულ ახალ და ახალ გამარჯვებებს აღწევენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. **(ტაში).**

მოგილოცავთ დღესასწაულს და სულითა და გულით გისურვებთ, ჩვენო ძვირფასო მეგობრებო ეა ძმებო, კიდევ უფრო დიდ წარმატებებს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის განვითარებაში, კულტურულ მშენებლობაში.

დაე კიდევ უფრო გამშვენიერდეს მზიური საბჭოთა საქართველო, დაე გამრავლდეს მისი წარმატებანი ჩვენი სოციალისტური სამშობლოს სადიდებლად! **(ტაში).**

მიიღეთ, ძვირფასო ამხანაგებო, ჩვენი ყირგიზული სალამი თქვენს საუცხოო სტუმართმოყვარე ქართულ მიწაზე.

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტურ საქართველოს! დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას—ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს! **(მქუხარე ტაში).**

ამხ. ზ. ზ. აფზენიუკის სიტყვა

მოლდავეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

ძვირფასო ამხანაგებო!

ნება მიბოძეთ მოლდავეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, მოლდავეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით და დავალებით, რესპუბლიკის მშრომელთა სახელით გულითადად მივესალმო და მივულოცო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საზეიმო სხდომის მონაწილეებს და თქვენი სახით მოძმე საქართველოს ყველა მუშას, კოლმეურნესა და ინტელიგენციას საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და სკკპ ერთ-ერთი მებრძოლი, ნაცადი რაზმის — საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის მეორმოცე წლისთავის სასიხარულო დღესასწაული. **(მქუხარე ტაში).**

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის მეორმოცე წლისთავის დღესასწაული კიდევ უფრო სასიხარულო ხდება ყველა მშრომელისათვის იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ზეიმში მონაწილეობას იღებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, საბჭოთა ადამიანების ბედნიერებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის დაუცხრომელი მებრძოლი ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი. **(ხანგრძლივი ტაში).**

ამხანაგებო! საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება განუყრელად დაკავშირებულია ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის უკვდავ სახელთან. ყოველისმძლე ლენინური დროშით ქართველი ხალხი თავგანწირულად იბრძოდა თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის, ბურჟუაზიული ნაციონალისტებისა და მენშევიკების წინააღმდეგ, გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებისათვის.

მოკლე ისტორიულ ვადაში — 40 წელიწადში — საქართველოს მშრომელებმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, სსრ კავშირის ყველა ხალხის და, უწინარეს ყოვლისა, დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარებით საქართველო მაღალ რუსეთის ჩამორჩენილი აგრარული განაპირა მხარიდან გადაიქცეს ადამიანთა თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრების მხარედ

საბჭოთა ხალხების—კომუნიზმის მშენებლების ურღვევი ძმობა

ამხ. ი. ნ. ზარობიანის სიტყვა

(დასასრული)

კომუნისტური პარტიის ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის მეოხებით ახლა ხალხთა მეგობრობა ურყევ ძალად გადაიქცა. ეს მეგობრობა ჩვენი ბედნიერება და ყველა ჩვენი წარმატების საწინდარია.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დიდ ზრუნვას ჩვენი ხალხები ახალი შრომითი მიღწევებით უპასუხებენ. ეჯიბრებიან რა ერმანეთს, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ხელიხელჩაკიდებულნი, საქართველოსა და სომხეთის მშრომელები იბრძვიან სოციალისტური მეურნეობის შემდგომი მძლავრი განვითარებისათვის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის.

ძვირფასო ამხანაგებო, ნება მიბოძეთ ერთხელ კიდევ სულითა და გულით მივესალმოთ მოძმე საქართველოს მშრომელებს სახელოვანი იუბილე და ვუსურვოთ მათ ახალი წარმატებანი კომუნისტური საზოგადოების აშენებაში. **(ტაში).**

დაე სამარადისოდ დანთოდეს კაშკაშა მზე თავისუფალ და შედნიერ სოციალისტურ საბჭოთა საქართველოს!

გაუმარჯოს საქართველოს, გაუმარჯოს სახელოვან ქართველ ხალხს — ჩვენს სამარადისო მეგობარსა და ძმას!

გაუმარჯოს საქართველოს კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მებრძოლ რაზმს!

გაუმარჯოს კომუნიზმის მშენებელი ჩვენი დიადი ქვეყნის ხალხთა ურღვევ მეგობრობას!

დიდება ჩვენს მშობლიურ კომუნისტურ პარტიასა და მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, რომელსაც მეთაურობს ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის დაუცხრომელი მებრძოლი, გამოჩენილი ლენინელი ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი. **(მჭუხარე ტაში).**

ამხ. ბ. ა. ოვეზოვის სიტყვა

თურქმენეთის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

ამხანაგებო! ნება მიბოძეთ თურქმენეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თურქმენეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით, საბჭოთა თურქმენეთის ყველა მშრომელის სახელით მხურვალედ და გულითადად მოგიდოცოთ მოძმე ქართველ ხალხს სახელოვანი იუბილე—საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის ორმოცი წლისთავი. **(ხანგრძლივი ტაში).**

ნება გვიბოძეთ ჩვენ, მზიური თურქმენეთის წარმომადგენლებს, მოძმე საქართველოს მიწაზე წრფილი გულიდან მომდინარე მხურვალე მისალმების, უსაზღვრო სიყვარულისა და მადლობის სიტყვები გადავცეთ გამოჩენილ ლენინელს —ძვირფას ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს, რომელიც ესოდენ დიდად ზრუნავს ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის კეთილდღეობისა და აყვაყებისათვის. **(მჭუხარე ტაში).**

ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის დაუცხრომელი და მჩქეფარე მოღვაწეობა გვახარებს და შთაგვაგონებს ჩვენ, ყველა ჩვენგანისათვის ხალხისადმი უანგარო სამსახურის თვალსაჩინო მაგალითია, იმის მაგალითია, თუ როგორ უნდა ვიბრძოდეთ ლენინურად პარტიის გენერალური ხაზისათვის, მისი ამოცანების პრაქტიკული განხორციელებისათვის. **(მჭუხარე ტაში).**

ამხანაგებო!

საქართველოს ორმოცი წლისთავი არა მარტო ქართველი ხალხის დღესასწაული, არამედ მთელი ჩვენი დიადი სამშობლოს, ურღვევი მეგობრობით შეკავშირებული მთელი მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს დღესასწაულია. ეს ურღვევი მეგობრობა ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის, საბჭოთა ხალხების ერთიანობისა და მონოლითური შეკავშირებისათვის დაუცხრომელი ზრუნვის შესანიშნავი ტრიუმფია.

ორმოცი წელიწადი ისტორიისათვის დიდი ვადა როდია, მაგრამ ქართველი ხალხისათვის, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის ყველა ხალხისათვის, ეს წლები დიდი მიღწევების წლები იყო, კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხისა და უწინარეს ყოვლისა დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარებით საქართველოს მშრომელებმა საბჭოთა ხელისუფლების წლებში დიდი ისტორიული ნახტომი გააკეთეს ჩამორჩენილობიდან პროგრესისაკენ.

დღეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დიდად განვითარებული მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის ქვეყანაა, საბჭოთა თურქმენეთის მშრომელები სულითა და გულით მიესალმებიან ჩვენი ქართველი ძმების შესანიშნავ წარმატებებს. ამ წარმატებებით ნათლად ვლინდება საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების დიდი უპირატესობანი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძნული ლენინური ხელმძღვანელობა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის ორმოცი წლისთავის ზეიმი ჩვენი სამშობლოსათვის ღირსშესანიშნავ დღეებში მიმდინარეობს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებებით, მშობლიური კომუნისტური პარტიის მომავალი XXII ყრილობით, დედამიწის გარშემო ჩვენი თანამემამულის იური ალექსის-ძე გაგარინის პირველი კოსმოსური გაფრენით აღფრთოვანებული საბჭოთა ადამიანები ახალ შესანიშნავ წარმატებებს აღწევენ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის ყველა დარგის შემდგომ განვითარებაში.

დღითიდღე სულ უფრო ბედნიერი და შეძლებული ხდება საბჭოთა ადამიანების ცხოვრება, როგორც არასოდეს, ამაღლდა ჩვენი სახელმწიფოს — ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების ბურჯის, მთელი დედამიწის მშრომელთა დიადი შუქურის საერთაშორისო ავტორიტეტი.

სახელოვანი იუბილეს დღეს საბჭოთა თურქმენეთის მშრომელები მხურვალედ ულოცავენ მოძმე ქართველ ხალხს და სულითა და გულით უსურვებენ ახალ ბრწყინვალე გამარჯვებებს ჩვენს დიად საქმეში — ნათელი კომუნისტური საზოგადოების შენებლობაში.

გაუმარჯოს და ჰყვაოდეს ჩვენი ქვეყნის ხალხთა ლენინური მეგობრობა!

გაუმარჯოს ქართველ ხალხს და სახელოვან საქართველოს კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, რომელიც მიუძღვის საბჭოთა ხალხს კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ! **(მჭუხარე ტაში).**

ამხ. ი. გ. კებინის სიტყვა

ესტონეთის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

ძვირფასო ამხანაგებო!

ესტონეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, ესტონეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და მინისტრთა საბჭომ დამავალეს გადმოგცეთ ესტონელი ხალხის გულიდან მომდინარე მხურვალე მისალმება და მოლოცვა. **(ხანგრძლივი ტაში).**

ი. გ. კებინმა წაიკითხა ესტონეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ესტონეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს მისასალმებელი წერილი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოსადმი,

ესტონელი ხალხი, — ნათქვამია მისასალმებელ წერილში, — ისევე როგორც ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ყველა მშრომელი, ამაყობს თქვენი გამარჯვებებით, რაც მოპოვებულია საბჭოთა ხელისუფლების ორმოცი წლის მანძილზე. ნიჭიერი ქართველი ხალხის ნებისყოფითა და შრომით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ყველა მოძმე საბჭოთა ხალხის დახმარებით მეფის იმპერიის ყოფილი ჩამორჩენილი აგრარული განაპირა მხარე გადაიქცა აყვავებულ სოციალისტურ რესპუბლიკად, რომელსაც აქვს დიდად განვითარებული მრეწველობა, მსხვილი მექანიზებული სოფლის მეურნეობა, მოწინავე მეცნიერება და კულტურა.

ქართველი ხალხი, ისევე როგორც საბჭოების დიადი ქვეყნის ყველა მოძმე ხალხი, თავის თავისუფალ და ბედნიერ ცხოვრებას, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მოპოვებულ ყველა გამარჯვებას უნდა უმადლოდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურ ბრძნულ ეროვნულ პოლიტიკას, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის პოლიტიკას.

თქვენი სასიხარულო დღესასწაული, რომელსაც თქვენთან ერთად აღნიშნავს ყველა მოძმე ხალხი — ბალტიისპირეთიდან წყნარი ოკეანის ნაპირებამდე, ჩრდილოეთის ზღვებიდან ჩვენი დიდი ქვეყნის სამხრეთ საზღვრებამდე, დაემთხვა საბჭოთა ხალხის უმაგალითო შრომითი აღმავლობის ამაღელვებელ დღეებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მომავალ XXII ყრილობასთან დაკავშირებით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, რომელსაც ხალხთა ბედნიერებისათვის დაუცხრომელი მებრძოლი ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი მეთაურობს, საბჭოთა ხალხი თავისი თავდადებული შრომით აშენებს კომუნიზმის დიდებულ შენობას, რაც შთამაგონებელი მაგალითია მთელი პროგრესული კაცობრობისათვის.

ვუსურვებთ სოციალისტური საქართველოს მშრომელებს ახალ წარმატებებს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში შეიდწლედის მესამე წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, ჩვენი დიადი ლენინური პარტიის XXII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის საბრძოლველად.

გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს საქართველოს კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სახელოვან და ერთგულ მებრძოლ რაზმს!

გაუმარჯოს და განმტკიცდეს სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი ძმური მეგობრობა — ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს ძალის, ძლიერებისა და აყვავების წყარო!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების დიდ შთამაგონებელსა და ორგანიზატორს!

გაუმარჯოს კომუნიზმს — მთელი კაცობრობის ნათელ მომავალს! **(მჭუხარე ტაში).**

ამხ. ა. დ. დანიალოვის სიტყვა

სკკპ დაღესტნის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი

ძვირფასო მეგობრებო! როცა მთიელი აპრეს მეგობარს ესტუმრო, თან მიაქვს თავისი ბაღის საუკეთესო ნაყოფი. დაღესტნის მშრომელთა სახელით ჩვენ გულწრფელად მივესალმებით და მხურვალედ ვულოცავთ მოძმე ქართველ ხალხს მის სახელოვან ეროვნულ დღესასწაულს — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 40 წლისთავს და ვუსურვებთ თქვენს რესპუბლიკას შემდგომ აყვავებას. **(ხანგრძლივი ტაში).**

ღვიძლი ძმებივით, მეზობლად ცხოვრობენ კავკასიონის გარშემო ქართველი ხალხი და კავკასიის სხვა ხალხები. მრავალი საუკუნის განმავლობაში ისინი ძმური ბრძოლით იცავდნენ თავიანთ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. ამიტომ არის, რომ ჩვენი ხალხების მიერ რევოლუციისა და სამოქალაქო ომის ცეცხლში მოპოვებული ეროვნული მშვიდობა მოასწავებდა გარდატეხას ცხოვრებაში, ვლადიმერ ილიას-ძის ალტაცების საგანი იყო, ხალხთა ურღვევი ერთიანობისა და მეგობრობის მაგალითი გახდა.

ახლა ეს მეგობრობა, რომელიც საბჭოთა ხალხის განვითარების კანონი, მისი გამარჯვებების წყარო გახდა, ხელს უწყობს მას წარმატებით გადაჭრას კომუნისტური მშენებლობის დიდებული ამოცანები.

ამხ. ი. ა. ალმაზოვის სიტყვა

ჩაჩნეთ-ინგუშეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე



სკკპ ჩაჩნეთ-ინგუშეთის საოლქო კომიტეტი, ჩაჩნეთ-ინგუშეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო, რესპუბლიკის ყველა მშრომელი მხურვალედ მიესალმებიან და გულითადად ულოცავენ მოძმე საქართველოს მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას სახელოვან იუბილეს — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის ორმოცი წლისთავს. **(ხანგრძლივი ტაში).**

ი. ა. ალმაზოვმა წაიკითხა მისასალმებელი წერილი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოსადმი. წერილში აღნიშნულია:

ჩვენი რესპუბლიკების მშრომელები ისტორიული მეგობრობითა და ძმობით არიან დაკავშირებული, განსაკუთრებით დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და გავრცელებისათვის ბრძოლაში. ძნელ წლებში, როცა ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფო გმირულ ბრძოლას აწარმოებდა იმპერიალისტი დამპყრობლებისა და შინაური კონტრრევოლუციის წინააღმდეგ, ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე აქტიურად მონაწილეობდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში ქართველი ხალხის ერთერთი სახელოვანი შვილი სერგო ორჯონიკიძე. **(ტაში).**

ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხთან ერთად საქართველოს მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, თავისი უფროსი ძმის — დიდი რუსი ხალხის დახმარებით, საბჭოთა ხელისუფლების წლებში უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში. ხალხის ნებითა და შრომით საქართველო გადაიქცა აყვავებულ სოციალისტურ რესპუბლიკად, რომელსაც აქვს დიდად განვითარებული მრეწველობა, მსხვილი მექანიზებული სოფლის მეურნეობა, მოწინავე მეცნიერება და კულტურა.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის წარმატებანი სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში დამაჯერებლად მოწმობენ სოციალიზმის დიად გარდამქმნელ ძალას, კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებას, ჩვენი სამშობლოს ხალხთა მეგობრობისა და ძმური ურთიერთდახმარების იდეების გამარჯვებას.

დღეს, ამ დიდი და სასიხარულო ზეიმის დღეს, ჩაჩნეთ-ინგუშეთის მშრომელები სულითა და გულით მხურვალედ მიესალმებიან თავიანთ ძვირფას მეზობლებს და უსურვებენ ახალ წარმატებებს შვიდწლედის დავალებათა განხორციელებისათვის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

გაუმარჯოს ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს ხალხთა ძმურ მეგობრობას!

გაუმარჯოს მშობლიურ კომუნისტურ პარტიას და მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის მეთაურობით. **(მჭუხარე ტაში).**

(დასასრული მე-6 გვერდზე)

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ახალგაზრდობა, რესპუბლიკის ყველა მშრომელთან ერთად უსაზღვროდ ბედნიერია, რომ თავის შესანიშნავ დღესასწაულს — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავს ეგებება იმ ისტორიულ დღეებში, როდესაც კაცობრობის მატიანეში იწერება ყველაზე ნათელი, ყველაზე ამაღელვებელი ფურცლები კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობისა.

ქართველი ხალხი, საქართველოს მშრომელები, ქართველი ჭაბუკები და ქალიშვილები ბედნიერი არიან იმით, რომ საქართველო წარმოადგენს იმ დიდი ქვეყნის განუყოფელ ნაწილს, სადაც კაცობრობის ისტორიაში პირველად შეიქმნა სოციალისტური საზოგადოება და დაიწყო კომუნისტური საზოგადოების მშენებლობა, სადაც პირველად იქნა გამოყენებული მშვიდობიანი მიზნებისათვის ადამიანის გონების უდიდესი მონაპოვარი — ატომური ენერგია, კაცობრობის ისტორიაში პირველად იიერა სივრცეში ხელოვნური თანამგზავრები და პირველად განხორციელდა ამაყ და მაძიებელი გონების ადამიანთა მრავალსაუკუნოვანი ოცნება — ადამიანის გაფრენა კოსმოსში, იმ ქვეყნის განუყოფელ ნაწილს, რომელიც თავისუფლების, დამოუკიდებლობის, პროგრესისა და ხალხის ბედნიერების ურყევი ბურჯია მთელ მსოფლიოში.

ქართველმა ხალხმა, მიიმა ახალგაზრდობამ კარგად იცოან, რომ თავისუფლებასა და ბედნიერებას უნდა უმადლოდნენ დიდი ლენინის მიერ დაარსებულ კომუნისტურ პარტიას, დიდ ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას, ძმურ კავშირში გაერთიანებული ყველა საბჭოთა ხალხის, უწინარეს ყოვლისა დიდი რუსი ხალხის უანგარო დახმარებასა და მხარდაჭერას; რომ ვერავინ ვერასოდეს ვეღარ გაბედავს ხელყოს წარსულში საუკუნეების მანძილზე მრავალრიცხოვანი მტრების შემოსევებით გატანჯული და იავარქმნილი, აწ კი სამარადისოდ ბორკილაყრილი საქართველოს თავისუფლება და ბედნიერება.

ჩვენ ვხარობთ და ბედნიერნი ვართ იმის გამო, რომ ჩვენი ეროვნული დღესასწაული მთელმა საბჭოთა ხალხმა გაიზიარა — ამის დამადასტურებელია მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხის ფიქრებისა და ნების პირველი საუკეთესო გამომხატველის ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის ჩამოსვლა ჩვენს რესპუბლიკაში.

ამიტომ არის, რომ ამ დიდი საერთო-სახალხო ზეიმის ბედნიერ წუთებში, ჩვენ, საქართველოს ჭაბუკები და ქალიშვილები, ერთხელ კიდევ ახალგაზრდა კომუნისტების გაუტეხელ სიტყვას ვაძლევთ ჩვენს პარტიას, პირადად თქვენ, ნიკიტა სერგის-ძეს, რომ თვალისჩინივით გავუფრთხილდებით რევოლუციის დიდ მონაპოვარს — საბჭოთა ხალხების ძმურ ერთიანობას. ჩვენი რიგები ყოველდღიურად უფრო მონოლითური და მტკიცე იქნება, რადგან, ვიდრე ეს ერთიანობა არსებობს, ჩვენ ვერ შეგვაკრთობს ვერავითარი მუქარა ოკეანესგაღმელი ბნელეთის მოციქულებისა, რადგან ჩვენი სიტყვა და საქმე, ფიცი და პირობა ისეთივე გაუტეხელი და უდრეკია, როგორიც დიდი საბჭოთა ქვეყნის ხალხთა ერთიანი ძმური ოჯახი.

საბჭოთა ხელისუფლების პირობებში საქართველო გადაიქცა ურღვევ ოჯახად, შეკავშირებულ მრავალეროვან რესპუბლიკად, სადაც ერთმანეთის მხარდამხარ შრომობენ, ცხოვრობენ და ახალ სამყაროს აშენებენ ქართველები, რუსები, აფხაზები, ოსები, სომხები, აზერბაიჯანელები, უკრაინელები და რამდენიმე ათეული სხვა ერისა და ეროვნების წარმომადგენლები.

ამ ისტორიულ დღეებში რესპუბლიკის ახალგაზრდები საზეიმო აღთქმას ვაძლევთ პარტიას, რომ ჩვენ კიდევ უფრო განვამტკიცებთ საქართველოში მცხოვრები ყველა ხალხის ლენინურ ძმობას და ერთიანობას.

ჩვენ, თანამედროვე ახალგაზრდობამ, კარგად ვიცით, რომ ადვილი რიდი იყო უფროსი თაობისათვის — ჩვენი მამებისა და დედებისათვის პირველნი შეხვედროდნენ ქარსა და გრიგალს, ახალი გზა გაეკაფათ ისტორიაში, მსოფლიოს ხალხებისათვის ეჩვენებინათ შეუპოვარი ბრძოლისა და შემართების ნამდვილი მაგალითები; რომ საბჭოთა ხალხს, მის ახალგაზრდობას დღევანდელი დღე, თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრების დღე, გაუთენდათ რევოლუციის ფოლადის ჭარიხკაცების მიერ უმაგალითო სიძნელეების გადალახვით, სისხლისა და ოფლის ღვრით, ძველი ყოფის ჯებირების ხგრევისა და ახალი ცხოვრების შენების გზით.

ამიტომ დღეს გულის სიღრმიდან მომდინარე მხურვალე მადლობის სიტყვებით მივმართავთ ბოლშევიკების გვარდიას, მოწიწებით ვიხრით ქედს რევოლუციის გაჭადარავებულ ვეტერანთა წინაშე, იმათ წინაშე, რომლებმაც რევოლუციის ბარიკადებზე დაღვრილი სისხლის ფასად თვითმპყრობელობას თავისუფლების მზე გამოსტაცეს. და რადგან ჩვენ — თანამედროვე ახალგაზრდა თაობა — სისხლითა და ხორცით ერთნი ვართ რევოლუციის ლეგენდარულ რაინდებთან, რადგან ჩვენი ფესვი მათი სისხლით მორწყულ მიწაშია მძლავრად გამდგარი, ამიტომ გჯეროდეს, პარტიავ, რომ დაუდგრომელია ჩვენი სული, დაუღალავია ჩვენი მარჯვენა, შეუკავებელია ჩვენი გადწყვეტილება — საქმით ვუტოლდებოდეთ ჩვენს სახელოვან წინაპრებს.

ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძეს! ჩვენ მუდამ კარგად გვახსოვს თქვენი სიტყვები იმის შესახებ, რომ კომუნისტიზმთვის საერთო-სახალხო ბრძოლაში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება ახალი ადამიანის — კომუნიზმის მოქალაქის— აღზრდას. ჩვენ კარგად გვესმის, რომ სწორედ კომუნისტურ შრომაში იბადება ახალი ადამიანი, იწრთობა მისი გონება, ყალიბდება მისი ხასიათი, იქედება მისი შეგნებულობა და იბადება ახალი რევოლუციური საქმეები. პარტიის ყოველდღიური მამობრივი მზრუნველობის საუოველთაო ჩვენს ყველა პირობა გვაქვს შექმნილი იმისათვის, რომ ვიზრდებოდეთ ასეთ ადამიანებად. ამას თუნდაც ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობის სულიერი და მორალური განვითარების მაგალითიც მოწმობს. დღეისათვის რესპუბლიკის მრეწველობაში მუშაობს საშუალო სკოლის კურსდამთავრებული 75 ათასი ახალგაზრდა, ხოლო საკოლმეურნეო მინდვრებსა და ფერმებში — 70 ათასი. ამ ახალგაზრდობამ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში მოიტანა კომუნისტური შეგნებულობა, მაღალი კულტურა და საფუძვლიანი განათლება. მან რომანტიკამდე აიყვანა თავისი პროფესიისადმი სიყვარული და მას შეუძლია მთელი რევოლუციური გაქანებით გადაწყვეტოს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემები სახალხო მეურნეობის აღმავლობისათვის საბჭოთა ხალხის ამ ისტორიულ ბრძოლაში.

ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირელები და ახალგაზრდები აღფრთოვანებული არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებით, ცნობით პარტიის XXII ყრილობის მოწვევის შესახებ, ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირის მიმართვით, ამ თათბირის მუშაობაში ბირადად თქვენი მონაწილეობით და თქვენ მიერ ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძეს, ახალგაზრდობისა და კომკავშირის მუშაობის მაღალი შეფასებით. მოგახსენებთ, რომ საქართველოს ჭაბუკები და ქალიშვილები არ იშურებენ ძალასა და ენერგიას რათა შვიდწლედის მესამე წლის დავალებანი წარმატებით შეასრულონ პარტიის XXII ყრილობის გახსნის დღისათვის.

პირნათლად შეასრულა რა გასული წლის საწარმოო დავალება, ჭიათურის საკავშირო დამკვრელი კომკავშირული მშენებლობის ახალგაზრდობამ გადაწყვიტა 1961 წ. ვადაზე ადრე გადასცეს საექსპლოატაციოდ ისეთი მნიშვნელოვანი ობიექტები. რომელთა დამთავრება გეგმით გათვალისწინებული იყო 1961 წლის IV კვარტალში, კარბონატის გამამდიდრებელი ფაბრიკა — 17 ოქტომბრისათვის და [illegible] გამამდიდრებელი ფაბრიკა — სექტემბერში.

ათ აოც „დიდი ქიაიაი" ოუსთაველი ახალგაზრდა მშენებლები ჩამორჩენიან. 1961 წელს მწყობრში ჩადგება ახალი სამძლავრეები; სოფლის მეურნეობა გეგმის ზევით მიიღებს 20 ათას ტონა მინერალურ სასუქს, ხოლო 1962 წ. IV კვარტალში მთლიანად დამთავრდება ამიაკის დამმუშავებელი წარმოება, რაც სამშობლოს დამატებით ათასობით ტონა მინერალურ სასუქს მისცემს.

ტიენეკური პროგრესისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში რესპუბლიკის კომკავშირელები და ახალგაზრდები არიან, მათი უშუალო მონაწილეობით წარაოიებაში დაიფერგა მრავალი ავტომატური, ნახევრადავტომატური, ნაკადური ხაზი, ბევრი ახალი დაზგა-დანადგარი და მოწინავე ტექნოლოგია.

გაითვალისწინეს რა თავიანთი შესაძლებლობანი და რეზერვები, რესპუბლიკის სოფლის ჭაბუკები და ქალიშვილები 1961 წელს მოკრეფენ და სახელმწიფოს ჩაბარებენ 105 ათას ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთოლს, 500 ტონა დაფნის ფოთოლს, 13.000 ტონა თამბაქოს, გაასუქებენ 80.000 სულ ღორს, ერთ ძროხაზე მიიღებენ 1.600 კგ. რძეს, გაზრდიან 3 მილიონ ფრთა ფრინველს.

რესპუბლიკის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უმნიშვნელოვანეს საბრძოლო ამოცანად დაისახეს უზრუნველყონ თვითეული კომკავშირელისა და ახალგაზრდის აქტიური მონაწილეობა წელს 10 მილიონი ფუთის. ხოლო უახლოეს წლებში 15 მილიონი ფუთი მარცვლეულის მიღებისათვის ბრძოლაში. ამ ფინანსი ოესპუბლიკის ახალგაზრდობა 1961 წელს დაამუშავებს 130 ათას ჰექტარ სიმინდის ნათესს, აქედან 80 ათასი ჰექტარის საშუალოდ ჰექტარზე მიიღებს 60 ცენტნერ სიმინდს მარცვლად, ხოლო დასარჩენი ფართობების მოსავლიანობას ჰექტარზე გაზრდის 4.5 ცენტნერით შარშანდელთან შედარებით. საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის მიზნით ახალგაზრდობის ძალებით ჩადებული იქნება 1,7 მილიონი ტონა სილოსი, ხოლო სახილოსე ნათესებიდან საშუალოდ ჰექტარზე მიღებული იქნება 450 ცენტნერი სიმინდის მწვანე მასა. საქართველოს კომკავშირი საქმით იქნება სიმინდის კულტურის ნამდვილი შეფი, სასოფლო-სამეურნეო კულტურების ორი მოსავლის მიღების ინიციატორი და ორგანიზატორი.

ქართველ ახალგაზრდობას მიაჩნია, რომ ბრძოლა პარტიის მიერ დასახული ამოცანების შესრულებისათვის არის ყოველი კომკავშირული ორგანიზაციის სამოქმედო კანონი, მუშაობის პროგრამა, თვითეული კომკავშირელისა და ახალგაზრდის, ჭაბუკისა და ქალიშვილის სისხლხორცეული საქმე.

ჩვენ საზეიმო პირობას ვდებთ, რომ საქართველოს კომკავშირი, რესპუბლიკის ახალგაზრდობა არ დაიშურებს ძალასა და ენერგიას პარტიის მიერ დასახული დიადი გეგმების განხორციელებისათვის; კიდევ უფრო მაღლა აღმართავს სახალხო მეურნეობის აღმავლობისათვის საყოველთაო ბრძოლის დროშას, მუდამ იდგება ამ დიდი ლაშქრობის ძნელ უბნებზე.

კომუნიზმის მშენებლობის საქმეში თავისი ღირსეული წვლილი შეაქვთ რესპუბლიკის ახალგაზრდა ინტელიგენციას, ჩვენს სტუდენტ და მოსწავლე ახალგაზრდობას. ჩვენ კარგად გვაქვს შეგნებული, რომ მეცნიერების, ტექნიკის და კულტურის მწვერვალების დაპყრობა თანამედროვე თაობის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, რომ დღეს, როგორც არასდროს მომწოდებლად გაისმის ლენინური მითითება იმის შესახებ, რომ ახალგაზრდობამ უნდა ისწავლოს კომუნიზმი.

გარწმუნებთ, ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძეს, რომ საქართველოსა ჭაბუკები და ქალიშვილები მუდამ ალიზრდეანან მტკიცე მარქსისტ-ლენინელებად, განათლებულ, კულტურულ ადამიანებად. ჩვენ კარგად ვიცით, რომ იური გაგარინის თანამედროვენი ვართ და კოსმოსში ამაყად ფრთების გაშლას უნდა ვუმადლოდეთ ძლევამოსილ საბჭოთა მეცნიერებას.

ჩვენ გვინდა სწავლა, მშვიდობიანი შრომა, გვინდა, რომ ჩვენი ახალგაზრდული ენერგია ხალხის კეთილდღეობას ხმარდებოდეს, მაგრამ ვხედავთ, რომ საერთაშორისო იმპერიალიზმი იარაღს აყალიბებს, ცდილობს გაანადგოს ახალი ომები, სისხლში ჩაახრჩოს ხალხთა ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ამიტომ არის, რომ ჩვენს სისხლხორცეულ საქმედ მიგვაჩნია თავდადებული შრომის, სწავლის, ადგებული ცხოვრების ისტორიაში ჯერ არნახული მაგალითებით კიდევ უფრო განვამტკიცოთ ჩვენი სამშობლოს ძლიერება, ყოველ ჭაბუკსა და ქალიშვილში აღვზარდოთ რევოლუციური სიფხიზლე და ხალხთა ბედნიერებისათვის თავგანწირვის გრძნობა, ამდენად დიდი და მძაფრია ჩვენი სიყულვილი სიცოცხლის ტრეიციადაი.

სწორედ ამიტომ, როდესაც თქვენ, ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძეს, იქ, საერთაშორისო იმპერიალიზმის ციტადელში— ამერიკის შეერთებულ შტატებში სახიკვდილო განაჩენი გამოგქონდათ ძირმომპალი კაპიტალისტური წყობილებისათვის, ჩვენ, ქართველი ახალგაზრდებიც მთელ საბჭოთა ხალხთან, მთელ პროგრესულ კაცობრობასთან ერთად, თქვენთან ვიდექით, თქვენს სიტყვებს ვიმეორებდით, თქვენთან იყო ჩვენი აზრიც და გონებაც.

გარწმუნებთ, ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძეს, და თქვენი სახით მთელ ჩვენს პარტიას, რომ საქართველოს ახალგაზრდობა მუდამ მზად არის თუ საჭირო იქნება მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად თავისი საკუთარი სისხლის ფასად დაიცვას საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი შრომა. და თუ დღეს ჩვენი ბარიკადები ქარხნებში დაზგებთან არის, ჩვენი საბრძოლო სახვრეები საკოლმეურნეო ძინდვრებში გადის, დაე იცოდნენ ახალი ომის გამჩიჯლებმა, რომ ვერავითარი მათი მუქარა წარხს ვერ შეგვიზრის, გულს ვერ შეგვიკრთობს, რადგან, თუ საჭირო იქნება, უშუალოდ მათს ბუნაგში გადავიტანთ გადამწყვეტი ბრძოლა ფაშისტ-ბ

სპორტული დღესასწაული „ქარიშხალას“ სტადიონზე. ფოტო ვლ. გინზბურგისა.

საბჭოთა ხალხების—კომუნიზმის მშენებლების ურღვევი ძმობა

ამხ. ა. ნ. ახროხოვის სიტყვა

უაბარდო-ბალყარეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

ძვირფასო ამხანაგებო! ძნელია სიტყვებით გამოვხატო სიხარული, რომელსაც ჩვენ, უაბარდო-ბალყარეთის წარმომადგენლებს გვანიჭებს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის მეორმოცე წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმში მონაწილეობა. **(ხანგრძლივი ტაში).**



ჩვენი დიადი ქვეყნის ხალხები ერთიან, ძმურ ოჯახს შეადგენენ. ამ მეგობრულ ოჯახში ბედნიერად ცხოვრობენ და ნაყოფიერად შრომობენ სოციალისტური საშობლოს საკეთილდღეოდ ქართველი და უაბარდო-ბალყარეთის ხალხები, რომლებიც კეთილი მეზობლები არიან.

კავკასიონის მაღალი და ციცაბო მთები, რომლებიც გეოგრაფიულად ჰყოფენ საქართველოსა და უაბარდო-ბალყარეთს, არ უშლიან ხელს მათი საეკონომიკრივი მეგობრობის განტკიცებას, ჩვენი ხალხების ძმური და მეზობლური კავშირი წლითიწლობით იზრდება და მტკიცდება. **(ტაში).**

უაბარდოსა და ბალყარეთზე გადიოდა ძირითადი გზა, რომელიც საუკუნეების მანძილზე აკავშირებდა რუსეთსა და საქართველოს. ჩვენთვის სასიამოვნოა ვიცოდეთ, რომ ჩვენი ხალხების წინაპრები რუს მეომრებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საქართველოში შემოჭრილი უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში.

უაბარდო-ბალყარეთის ხალხები დიდი მადლიერების გრძნობით იხსენებენ, გულთბილ მიღებასა და ძმურ მხარდაჭერას, რაც ძველ და შუადმ ახალგაზრდა თბილისში ქართული კულტურის მოწინავე მოღვაწეებმა გაუწიეს უაბარდოელი ხალხის გამოჩენილ განმანათლებელს შორე ნოგმოვს. სწორედ აქ პირველად გამოქვეყნდა მისი „ადიღეელი ხალხის ისტორია“.

უაბარდოელებსა და ბალყარელებს მუდამ ეხსომებათ გამოჩენილი რევოლუციონერები, ერთგული ლენინელები სერგო ორჯონიკიძე, ნოე ბუხარიძე და მოძმე ქართველი ხალხის სხვა შვილები, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში. **(ხანგრძლივი ტაში).**

ამხანაგებო! ქართველი ხალხი თავის სახელოვან დღესასწაულს შეხვდა უდიდესი მიღწევებით რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში. უაბარდო-ბალყარეთის მშრომელნი სულითა და გულით შეეხმიანენ მოძმე ქართველი ხალხის ამ წარმატებებს.

კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის უოველდღიური მამობრივი ზრუნვის მეოხებით სრულიად იცვალა სახე სსრ კავშირის ყველა ხალხის ცხოვრებამ, ახალ ალმავლობას მიაღწია ეკონომიკამ, კულტურამ და მატერიალურმა კეთილდღეობამ.

ამხანაგებო! ჩვენი დიადი სამშობლო თანასწორუფლებიან ხალხთა ქვეყანაა, რომელთა ტალანტები სრულად გაიფურჩქნა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს. მათი შესანიშნავი მიღწევები კომუნისტური პარტიის ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების ნაყოფია. **(ტაში).**

საბჭოთა კავშირის ხალხებმა, რომლებსაც წინ მიუძღვის კომუნისტების ლენინური პარტია, ააშენეს სოციალიზმი და აშენებენ კომუნიზმის ოიდებულ შენობას. ახლა საბჭოთა ადამიანები ემზადებიან იმისათვის, რომ ღირსეულად შეხვდნენ XXII ყრილობას. ახალი, ბედნიერი ცხოვრების შემოქმედნი, ისინი ამოავლებენ ჩვენი ქვეყნის მატერიალურ და სულიერ სიმდიდრეს, ყოველი ღონისძიებით განამტკიცებენ საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერებას.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ, აღნიშნავს რა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 40 წლისთავს, ქართველი ხალხი, ისე როგორც საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი, წარმატებით შეასრულებს შვიდწლედს და თავის ღირსეულ წვლილს შეიტანს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საქმეში. **(მჭუხარე ტაში).**

ნეებისყოფის გამარჯვება

ჭადრაკის სამყარო ტაშს უკრავს გოტვინიკს

მიხეილ ტალის გამარჯვებებმა უკანასკნელ დროს ტურნირებში სენსაცია გამოიწვია საჭადრაკო სამყაროში, იშვიათი ნიჭით დაჯილდოებული რიგგელი ორჯერ — 1957 და 1958 წლებში გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი, გამარჯვებული გამოვიდა საზონთაშორისო ტურნირში, მოიპოვა ბოტვინიკთან მატჩის უფლება პრეტენდენტთა ტურნირში და, ბოლოს, შარშან დამჯერებლად მოუგო მატჩი მსოფლიოს ჩემპიონს. დაფნის გვირგვინით შეამკეს ოცდაოთხი წლის გროსმაისტერი, ჭადრაკის სამყარო მჭუხარე ტაშს უკრავდა მის გამარჯვებებს და საოცარ კომბინაციებს, რომლებიც ქარიშხალივით დაეკანებდნენ ფიგურებს საჭადრაკო დაფაზე.

მიხეილ ბოტვინიკი მისთვის დამახასიათებელი ობიექტურობით აღიარებდა მიხეილ ტალის იშვიათ ნიჭს. ამავე დროს ბოტვინიკი ტალის გამარჯვებას მატჩში მაინც არ თვლიდა დამაჯერებლად. მის შემოქმედებაში იგი ხედავდა შესაძრნეს მანკს, რომლის გამოყენება 1960 წლის მატჩში მან ვერ შეძლო ცუდი სპორტული ფორმის გამო.

ახალგაზრდობის ასაკში ადამიანს აქვს თავისი უპირატესობანი — ენერგია, შემართება. ხანში შესულს ახასიათებს სიფრთხილე, გონიერი აუჩქარებლობა. მხოლოდ სრული გაფურჩქნის ასაკში ყალიბდება ადამიანი ჰარმონიულად. ეს ეხება მოჭადრაკეებსაც. ჭადრაკის გამოჩენილ ოსტატს — მსოფლიოს ჩემპიონი კი ასეთი უნდა იყოს — უნარი უნდა ჰქონდეს არა მარტო ოსტატური კომბინაციებისა, იერიშებისა, იგი საუკეთესოდ უნდა თამაშობდეს ენდშპილს, დაუფლებული უნდა იყოს სამნეგრო ბრძოლის ტაქნიკას. ამ თვისებებს კი წლები, გამოცდილება იძლევა.

მიხეილ ტალი ამას რომ მიხვედრილიყო ბოტვინიკზე გამარჯვების შემდეგ, იგი ბევრი რამის გაკეთებას შეძლებდა მატჩ-რევანშის წინ გასვლილი წლის მანძილზე. მას ისე უყვარს ჭადრაკი და ისეთი დიდი ნიჭის პატრონია, რომ შეძლებდა მნიშვნელოვნად აღმოეფხვრა თავისი თამაშის ნაკლოვანებანი, გამოემუშავებინა ბევრი თვისება, რომლებიც მას აკლია, მაგრამ ეს არ მოხდა.

მსოფლიოს ჩემპიონი საკმარისად არ დაუფიქრდა აგრეთვე პასუხსაგები შეჯიბრებისათვის ფიზიკური მომზადების საკითხს.

თუ ტალი არაგონივრულად ხარჯავდა წელიწადს ორ მატჩს შუა, ბოტვინიკს, არ დაუკარგავს არც ერთი წუთი. ძან მოიფიქრა ყველაფერი: საჭადრაკო გაწრთვნილობაც, სადებიუტო მომზადებაც, ფიზიკური მდგომარეობაც მატჩის დროს. იგი მატჩ-რევანშზე მოვიდა ყოველმხრივ აღჭურვილი თეორიული ცოდნით, მისი სადებიუტო რეპერტუარი თუმცა ძალიან ფართო არ იყო, სამაგიეროდ ღრმად იყო მოფიქრებული. ექს-ჩემპიონს არც პრაქტიკული თამაში დავიწყებია — ლაიპციგში ოლიმპიადაზე გამოსვლამ შესაძლებლობა მისცა შეემოწმებინა თავისი საჭადრაკო „მახვილის სიბასრე“. რაც შეეხება ფიზიკურ და სპორტულ მომზადებას, ეს ხომ პირდაპირ გასაოცარია. ბოტვინიკი თვითონ აცხადებდა, მატჩ-რევანშის პარტიებში ხუთი საათის თამაშის შემდეგ სრულებით არ ვიქანცები და ნათელ აზროვნებას ვინარჩუნებო. ის ხომ ორმოცდაათი წლისაა!

მაგრამ ყველაზე მეტი დრო ბოტვინიკმა წლის განმავლობაში მოანდომა მომავალი ბრძოლის ტაქტიკის, მოწინააღმდეგის ფსიქოლოგიურ თავისებურებათა გამოყენების მოფიქრებას. რადგან ტალი სრულყოფილი არ არის ენდშპილში, მაშასადამე საჭიროა ლაზიერების გაცვლა, რადგან იგი ჯერ კიდევ სავსებით არ არის დაუფლებული სამხეერო ბრძოლის ხელოვნებას, მაშასადამე საჭიროა დაფაზე ისეთი პოზიციების შექმნა, რომლებიც მოითხოვენ ნელ და ღრმა მანევრებს და, რაც მთავარია, არავითარი უცნაური გართულება, სადაც ტალი ასე ძლიერი და დახელოვნებულია. შესაძლებლობა არ უნდა მიეცეს მას გამოიჩინოს თავისი იშვიათი ტაქტიკური ნიჭი, უნდა შეიქმნას მშვიდი პოზიციები, რომლებიც ტალს ძალიან არ უყვარს. თუ შეიძლება ჭადრაკი კრიეს შეეადარო, ბოტვინიკმა გადაწყვიტა ეყოლებინა ტალი „მანძილზე და არავითარ შემთხვევაში არ დაეშვა სახიფათო „ახლო“ ბრძოლა. ეს შიში ან მეტისმეტი სიფრთხილე როდი იყო. მატჩ-რევანში პასუხსაგები შეჯიბრებაა და გამარჯვებისათვის საჭიროა წაართვას მოწინააღმდეგის ყველა შანსი.

ბრძოლის მსვლელობამ ცხადყო ბოტვინიკის მომზადების სიბრძნე. დებიუტში იგი ყოველთვის უპირატესობით გამოდიოდა. მხოლოდ მერვე და მეთექვსმეტე პარტიებში შეძლო ტალმა უპირატესობის მოპოვება ბრძოლის საწყის სტადიაში. ჰეგემონიამ ძალთა მობილიზაციის პერიოდში შესაძლებლობა მისცა ბოტვინიკს შემდეგშიც ბრძოლის წამყვანი ყოფილიყო.

და მაშინ მსოფლიოს ჩემპიონმა ნერვიულობა დაიწყო. შუა პარტიაში მწვავედ თამაშის შესაძლებლობას მოკლებულმა, მან გადაწყვიტა ბრძოლის სიმძიმის ცენტრი გადაეტანა უკვე საწყის სტადიაში — დებიუტში. მან იწყო პაიკების გააფთრებული იერიშების გამოყენება, უსაფუძვლოდ კარგავდა დროს კონკრეტულ ოპერაციებზე, როცა საჭირო იყო ფქრი ფიგურების განვითარებაზე. შედეგმაც მალე იჩინა თავი. წარმმატებული სადებიუტო ექსპერიმენტების შედეგად ტალმა ზედიზედ წაგო სამი პარტია — მეცხრედან მეთერთმეტემდე. ეს სერიოზული მარცხი იყო — ახლა ბოტვინიკი უკვე წინ იყო ოთხი-ხუთი ქულით, ეს კი განსაზღვრავდა გამარჯვებას.

ორმოცდაათი წლის მიხეილ ბოტვინიკმა კვლავ მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის დაფნის გვირგვინი. ოცდათუთმეტი წელია გამოდის იგი პასუხსაგებ საჭადრაკო ტურნირებზე და დღემდე შეინარჩუნა ნათელი შემოქმედებითი გონება, ფოლადისებური ნებისყოფა, თავისი სტრატეგიული ჩანაფიქრების დამაჯერებელი ლოგიკა. მატჩში მან დებიუტების ბრწყინვალე ცოდნა გვიჩვენა. მისმა ოსტატურმა თამაშმა კარო-კანის დაცვაში ბევრს დაუბადა აზრი ამ დაცვას „ბოტვინიკის დაცვა“ დაერქვას. მისი ნათელი გეგმები ძველნდურ დაცვაში და ნიმცოვიჩის დაცვაში ჯერ კიდევ დიდხანს იქნება ჭადრაკის თეორეტიკოსთა შესწავლის საგანი. არანაკლებ მნიშვნელოვანია ბოტვინიკის წვლილი შუა თამაშის თეორიაში — მის მიერ ბევრი მარტივი პოზიციის გათამაშება შესაძლებლობას მისცემს ახალგაზრდობას ჩასწვდეს ამ მნიშვნელოვანი ხელოვნების საიდუმლოებას.

ბოტვინიკი აღსავსეა ძალღონითა და ენერგიით. საინტერესოა, რომ იგი უკვე მეორედ იბრუნებს დაკარგულ წოდებას მატჩ-რევანშში (პირველი მატჩ-რევანში სმისლოვთან 1958 წელს). მისი აზროვნების ლოგიკა, ძლიერი ნებისყოფა, უდიდესი შრომისუნარიანობა საფუძველს აძლევენ საბჭოთა საჭადრაკო ორგანიზაციას იმედი ჰქონდეს, რომ მსოფლიოში უძლიერესის ტიტული საიმედო ხელშია.

მიხეილ ტალზე რაღა ვთქვათ? რა არის ეს — დასასრულია? არავითარ შემთხვევაში! მრავალფეროვანია ახალგაზრდა რიგელის ნიჭი. ეს ნიჭი ჯერ კიდევ მნიშვნელოვან დამუშავებას მოითხოვს და მაშინ კვლავ აციისკროვნდება.

დარწმუნებული ვართ, რომ ტალი სწორ დასკვნებს გააკეთებს მატჩ-რევანშიდან. ეს მატჩი ასწავლის მას სწორადო ხარჯოს ძალები, მოფიქრებულად ებრძოდოს შეჯიბრებებისათვის, დაეხმარება მას სრულყოფილად დაამუშაოს თავისი დიდი საჭადრაკო ნიჭი.

ჩვენმა საჭადრაკო ორგანიზაციამაც უნდა გააკეთოს დასკვნები ტალის წაგებიდან მატჩ-რევანშში. ჩვენ უნდა გავაძლიეროთ კონტროლი უაღრესად ნიჭიერი მოჭადრაკეების მომზადებაზე, არ დაეუშვათ ამაში თვითდინება.

უკანასკნელ წლებში, ტალს გარდა, ზოგიერთი სხვა ოსტატიც აღარ მუშაობს ჭადრაკზე ისე, როგორც ამას მათი ნიჭი მოითხოვს. აშკარად შეანელა ტემპები ლენინგრადელმა გროსმაისტერმა ბორის სპასკიმ. თექვსმეტი წლისამ მან ოსტატის წოდება მიიღო, ახლა კი მისი წარმატება აშკარად დაქვეითდა. მე მაღელვებს ნიჭიერი ოსტატის ბუხუტი გურგენიძის საჭადრაკო ბედი. მისმა გამოსვლამ სსრ კავშირის ჩემპიონატში რიგაში 1958 წელს ცხადყო მისი მნიშვნელოვანი და მკაფიო საჭადრაკო ნიჭი. მას შემდეგ ქართველი მოჭადრაკე გამოდის სუსტად — შეიძლება ამის მიზეზი იყოს არასაკმარისი მუშაობა. ჭადრაკი რთული და მრავალფეროვანი თამაშია, იგი უდიდეს მუშაობას მოითხოვს, და მხოლოდ ის, ვინც გულმოდგინედ სწავლობს მის საიდუმლოებებს, ჯილდოდ იღებს შემოქმედებითსა და სპორტულ გამარჯვებებს. მინდა ჩვენს მოჭადრაკე ახალგაზრდობას ვუსურვო ნაყოფიერი შრომა ჭადრაკის კანონების საიდუმლოებებზე. და მაშინ უფრო მეტად აყვავდება ჩვენი საყვარელი საჭადრაკო ხელოვნება.

მე ვიცი, რომ **„კომუნისტის“** მკითხველთა, ქართველ მოჭადრაკეთა შორის ჩვენს ახალ ჩემპიონს ბევრი გულშემატკივარი ჰყავს. ამიტომ ჩემს თავს ნებას მივცემ თქვენი სახელით, ძვირფასო მეგობრებო, ჭადრაკის მოყვარულებო, **გულითადად მივულოცო მსოფლიოს ჩემპიონს — მიხეილ ბოტვინიკს მსოფლიო ჩემპიონის სახელის დაბრუნება და ვუსურვო ახალი წარმატებები საჭადრაკო ხელოვნების დარგში ჩვენი სამშობლოს სასახელოდ.**

ა. კოტოვი.
გროსმაისტერი.

ბოტვინიკი მიესალმება ქართველ მოჭადრაკეებს

ჩვენი ინტერვიუ

მოსკოვი. (საკ. კორ.). **სსრ კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში, ოსტატ ლ. აბრამოვის კაბინეტში შევხვდით მსოფლიო ჩემპიონ მ. ბოტვინიკს და გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველთა სახელით მივულოცეთ ახალი დიდი გამარჯვება.**

— უღრმესი მადლობა, — ამბობს მ. ბოტვინიკი, — ვსარგებლობ შემთხვევით და გაზეთ „კომუნისტის“ საშუალებით ვულოცავ ქართველ ხალხს ეროვნულ დღესასწაულს. საქართველოში ბევრი შესანიშნავი მოჭადრაკეა, განსაკუთრებით კი ქალებმა გაითქვეს სახელი. ნ. გაფრინდაშვილი, ე. კაკაბაძე, მ. ტოგონიძე კარგი მომავლის მქონე მოჭადრაკეები არიან.

შემდეგ ბოტვინიკმა თავის სურათზე, რომელიც თქვენმა ფოტოკორესპონდენტმა გამარჯვების დღეს გადაუღო, წააწერა: „გულითადად მივესალმები ქართველ მოჭადრაკეებს რესპუბლიკის 40 წლისთავის გამო“.

ვ. გოზალიშვილი.

„მეგობროგის თასზე“

გრძელდება მრავალდღიანი ველოსიპედო სამი მომძე რესპუბლიკის სპორტსმენთა მონაწილეობით „მეგობრობის თასის“ მოსაპოვებლად, რომელიც დაწესებულია საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის მიერ.

მეექვსე ეტაპი კიროვაბადი-იჯევანი იყო. აქ უძლიერესი აღმოჩნდა საქართველოს ველოსიპედისტი ა. თავაძე, მომდევნო ორი ადგილი დაიკავეს სომხეთის წარმომადგენლებმა — ტ. ავაქიანმა და ს. ოგანესიანმა.

მეშვიდე ეტაპში — მარშრუტით იჯევანი-ერევანი გამარჯვებული გამოვიდა ტ. ავაქიანი. მან 140 კილომეტრი გაიარა 4 საათში, 20 წუთსა და 45 წამში.

ველოსიპედისტ ტ. ავაქიანი. გუნდურ ჩათვლაში წინ არიან აზერბაიჯანელები.

გუშინ ველოსიპედისტ-მონაწილეები ისვენებდნენ. დღეს გაიმართება მერვე ეტაპი მარშრუტით ერევანი-ლენინაკანი.

ფრანგი კომუნისტების დიდი ბრძოლა

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის XVI ყრილობა

პარიზი, 11 მაისი. საკადესის კორესპონდენტები ა. **ბარანოვი** და **გ. დრაგუნოვი** იუწყებიან: პარიზის მუშათა გარეუბან სენ-დენიში დღეს დილით გაიხსნა საფრანგეთის მუშათა კლასის მებრძოლი ავანგარდის — საფრანგეთის კომუნისტური პარტიის XVI ყრილობა. ყრილობის დღის წესრიგშია ორი საკითხი: საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება „ყველა მუშისა და დემოკრატიული ძალების კავშირი კაპიტალისტური მონოპოლიების ძალაუფლების წინააღმდეგ, პროგრესისათვის, თავისუფლებისათვის, მშვიდობისათვის, დემოკრატიის აღდგენისა და განახლებისათვის ბრძოლაში“ (მომხსენებელი საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი და ცენტრალური კომიტეტის მდივანი როშე), აგრეთვე პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები.

საანგარიშო მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრსა და ცენტრალური კომიტეტის მდივანს ვალდეკ როშეს. ვალდეკ როშემ შეაჯამა პარტიის წინა ყრილობის დროიდან ორი წლის მანძილზე მომხდარ საშინაო და საერთაშორისო მოვლენათა ანგარიში. ანგარიშში ეხება ალჟირელ ხალხთა ბრძოლა, ეროვნული ეკონომიკა, ეროვნული ბანკი, ეროვნული ინდუსტრიალიზაციის ამოცანები, ეროვნული ბიუჯეტი, ეროვნული ინვესტიციები, ეროვნული ფასები, ეროვნული ეკონომიკური ურთიერთობა, ეროვნული ეკონომიკური ურთიერთობა, ეროვნული ეკონომიკური ურთიერთობა